

140  
1969

საერთაშორისო  
ზოგადი




140

# სამგეზა

7

1969

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი



109501



ადამიანის ცხოვრებაში არის წულები, რომელიც სამუდამოდ იტყობა მისი ცხოვრების განმარტებით. ეს წლები ცხოვრების მანძილზე ტკბილ მოგონებად რჩება, რომელ თქვენგანს არ ახსოვს პირველი გამოცდა, მასთან დაკავშირებული სიხარული და დედა, იმისი ბავშვების თევა. ეს თვე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღი იწეება, არის დღესასწაული, ზეიმი და სიხარული. შედეგად კი... სტეილი დღეები... გავაჩაწა, გამოცდები.

გაივლის ერთი თვე. მოსწავლეები კიდევ ერთ სსწაწალო წელს ჩამოიტკეპენ უკან, ცხოვრების კიბის კიდევ ერთ საფეურზე აიწაცვლებენ.

ახე, წლიდან წლიმდე. ვერც კი გაიგებთ, იმე შეუმჩნეველი „მოგვარება“ შეივთ კლასი და მერე... სამუდამოდ დაშორდებით სავერდილი სკოლის კარიბჭეს და ცხოვრების დიდ შარაგზს დაადებთ.

# ...ჩა კიჩუნე ეკთი სავსე უკით გარე

ფოტო პირის გეგმარება.

საბავშვო საკვების მართვალისადმი შიხა ზარკად და მართვალ სიხად.

საბავშვო საკვების მართვალისადმი შიხა ზარკად და მართვალ სიხად.

საბავშვო საკვების მართვალისადმი შიხა ზარკად და მართვალ სიხად.

საბავშვო საკვების მართვალისადმი შიხა ზარკად და მართვალ სიხად.

**საბავშვო საკვების მართვალისადმი შიხა ზარკად და მართვალ სიხად**  
**7. ივლისი 1969**  
 ბავშვთა საკვების მართვალისადმი შიხა ზარკად და მართვალ სიხად

საბავშვო საკვების მართვალისადმი შიხა ზარკად და მართვალ სიხად.



საბავშვო საკვების მართვალისადმი შიხა ზარკად და მართვალ სიხად.



# საქართველოში სსრკ-ის კომუნისტური პარტიის 100 წლის იუბილე



სს მსწრედი ერთი ვარსკვლავი, მნათობი მთელი ქვეყნისა

ვლადიმერ ლიას ძე ლენინის პიროვნება და მისი საქმიანი პრათული ხალხურ პოეზიაში დიდი მრავალფეროვნება და სიყარულით ასახა. თვით ვლადიმერ ლიას ძე მასების, მშრომელთა ნაჭერისა და ნაივებარში მათი აზროვნებისა და ფსიქოლოგის ნაყოფში დიდი ქსოვიტარული დიქტირების მასალას შედგება. ლენინი ღონა რწმუნებშია და ხალხის ძალისა, მშრომელთა რევოლუციური აქტივობისა. მისი ურყევი აზრობა, ხალხი უძღვლებს, შეუდგრეოდ ძალისა. ხალხური სუბიმიტივობებშია ეს მშრომელთა იმედისა და მოლოდინის ცხოველ გამოხატულება მისაწნა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განარჯვებით ხალხმა თავისუფლება მოიპოვა და ახალ სოციალისტურ სახელმწიფოში ახალი ცხოვრება შეიქმნა. მშრომელი ხალხის გამარჯვებულ გამოსავლ ოქტომბრის ქარცხლებლიანი ბრძოლებთან, ხალხის განთავისუფლებასა საქართველოში მონობიდან, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი ახალი ცხოვრება გამართლდა მისი დიდი შემოქმედების შუაში, მშრომლისა და თავისუფლების, მშობის, მშრომლისა და მკაცრობისაში მისი თავგანწირული სწავლები:

ლენინი, ზედალი, პირველია მწიღი დამარტყვე მტერი, მთელი სამართი ვაჟზე, ახალს დაადვი ვერა.

ვლადიმერ ლენინის სახით არის შიამოცხებული უამრავი ხალხური ლექსი-სიმღერა, რომელია ადგილებში გამოხატავს ზედალის ნათელი აზრისა და ნამოქმედარის სიდიადეს, მის თავდადებასა და გინიერებას, მისი აზრების უკვდავებს:

ქვენი ქვეყანა გაყოფილა, სულ სხვა გვაქვს შინა და გველია, უნდა აღმოცენდნა მთავრობა — მუშის და გლეხის მკვლელია. მისი ბრწყინვალე ყოვლისა, მოუსყა რეისის ცელია. შეყავა საკური აზრობი, რაც კია შესწავლელია.

ახალი წყობილების გამარჯვებამ უკველად გამოაფრება მშრომელი ხალხისი. ვეღაფერი საერთო-სახალხო საკუთრება გვაქვს. შეიქმნა ახალი სიმღერები მრავალფეროვანების დამოხმასა და ახალ, სოციალისტურ ცხოვრებაზე ამ უკრიოდის ანასახელი ახალი ქვეყანის ლექს-სიმღერებისათვის ნინანდობილია მონობის უღლისაგან განთავისუფლებულ ადამიანის სახარული, ახალი წყობილებისა და განასლებული სოცლის ცქრობი ადრეული ადრეტყება. ვეღლა მინაწილება ამ საერთო-სახალხო სიხარულისა. დღეები თავიანთი ყრმებს ასწავლიან დიდი ზედალის სახელს, მოუთხოვენ ხალხისათვის მის თავდადებას:

ახალ დრომ მოგვცა, იმედი, ჩვენ გვ ტყველი ჰქონდა, მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ვეღლას გულსა გინება, და დავცვირა ძველი დრო, ძველი ტყვეობა, შინობა. გულს ჩაიჭრეს ეს სიტყვა, შეიღო, გახრდილო გლეხისა, უკვდავი ლენინი არის გამახსნელი ხალხის ბედისა.

ადამიანები საკუთარ მავალითზე გრძობენ ლენინის საქმეთა სიდიადეს, სიმართლეს.

ჩვენი უკვდავი ლენინი, მასწავლებელი მანათი, ჩვენ სეპარებისა, გველიანთა თქვენი სიმართლის ძალია. თქვენი გონების ნაყოფით გულ გვიხარა მთავარი. ...მოგვცადა მწელი ცხოვრება, სამართა ჩვენართა.

ხალხმა კარგად იცის, რომ ყოველივე ახლის, მოწინაის შემოქმედელია ლენინის შექმნილი და გამობრძეული კომუნისტური პარტია. ლენინური კომუნისტური პარტია ხალხის და ყველა გამარჯვების შიამოცხებელია მსოფლიო მშრომელთა შიამოცხებელი.

წინ მივყიდვება ჩვენ პარტიის სიმართლეს, ვინა, და უნდა ამწობით — მისი მუქი გულს სფობია.

ვლადიმერ ვიწორები: ჩვენ პარტიის გვირგვინის გრება, დიდი ლენინის უკვდავება მწელი გვაგვინია.

სამტობია ადამიანების ახალ-ახალი გამარჯვებით ლენინის მისი იდეების გამარჯვება. საკოლმურენო მინდვრებზე, ქარანა-ფარბიებში თუ კისმისის თივისებაში მოიხვედრება გნობიში ხალხი შედგას დიდი ზედალის ანდობის შეარჯვებას, მისი ნაივებარის ხორც-შესმას.

ახალი ქვეყნის მშრომელ ადამიანთა საერთო განწყობილება კარგად არის გამოხატული მუშების ნათქვამ ლექსში. ცხოვრებისაგან მონიერება სიხარულია ამ ლექსის თანახმაჯარი.

კოლქეტილები მუშების გარ, მღერა მუშეთა მუშეურთა, დღესამომლოდნი გამარჯვება, იმისი კეთილი მებრება, მანარგის მთების ნათელი, უწინ რომ ნილი იტრება, ცხინი და ძროხა გამარჯვებულ მთებთან ზღვარკეთილებთან, მონობის სახლი აჯავი, მწელი ჰინი დაიხვეტება, თუი რამ ვინც და ვინაჯეტ, ამიხდა, ცხალვით მუტკურბა.

1924 წელი. გარდაცვალა ვლადიმერ ლენინი  
მერ ლიას ძე ლენინი. მოელ ქვეყნისა | აწ

ლენინის სიმწრფითი მოდელი სათავსებზე აღამიანის დიდი ზედალის გარდაცვლების ამბავი უსასწერო მწუხარებაში მიივცა ხალხი.

მოულოდნელად დავცილება დაწვლითარ ხანის, დანაწვლია მთელი ქვეყანა, შევი ჩაივცა იქამა. ...მავალი მთებშია ზეგნა მტრები ჩამბრება, ფრთხილად შეწყვიტეს გალობა, იმამყ იერეს განა... ზედალად გამოგვყავა მშრომის მიღვაწე მამა.

ხალხის გლეოვა და მუხარება ლექსებში სხვადასხვა მატარული საშუალებით არის გადმოცემული. ხალხური მიძელება ამ საერთო სველის გამოხატულებასა საგნისადაც არ მიიწინებს გლეოს ჩვეულებრივ, ადამიანურ გამოვლირებას და ზუნების ხალხის მიზნობით ამასწრებს ზედალის გარდაცვლებით განდიდილი დიდი მუქურების მინიშნულებას.

ცივმა დაიპყრა ნიავმა, მუქურული ჩამოვარდა, ტყვენი ვეგნას გაივცა — ტრატება დაიხარა, მთაში გაივცა ფრინველი, — გალობა აიკრძალაო.

ზოგ ხალხურ ნაწარმოებში ლენინის პიროვნება ლეგენდარულ სახურვლებში გახვეული ტრადიციული ლეგენდის ფორმით არის მოხსობილი ზედალის დამატება, თავისუფლებისათვის მბრძოლა და სიკვდილი.

ლენინის დასავლეთ მუდარებული ცაზე მარწინავი გარსკვლავის გამოჩენასთან ქს განსკვლავი ცოცხალი მოიქცე იყო ვეღლა მტრებისა, რომელიც ხალხს ჩაგრადა, აფორცხება, სულს ასვლია, ეს გარსკვლავი იყო მშრომელი ხალხის ბრძინოვული. იგი ეძიება ადამიანთა ტანვარ-წამებისაგან გამომსხვლე გინის და ამ, მწობისა მალად, თიღლიან მიწების თვითი მოწყა ჰობს, რომელიმეა ურნას ზინა. გარსკვლავსა კრმას დაწვლილით დავით ქვეყნის ქირ-გარამი, შეგარნას თიღის ქვეყანა.

საკუეი შეიკრებდა მუხამ ბორბიტება და დამატება იგი გამარჯვებას გინობა ახალი ცხოვრება შექმნა და პირველივე ხალხს ზეგნიერება მოუტანა. ლეგენდის ბოლოს ქსაკუეი კება. ხალხის წარმომადეობით, ეს ქსაკუეი ლენინი იყო. თუ მისი დასავლად ხალხთან მიძელება ცაზე მმწინავი გარსკვლავის გამოჩენის შეგარნას, სამედიოვად, მისი სიკვდილი მისი სახელის მიამსვება.

მისი სახელს უკავს სიკვდილი იმ ჩვენს ზედალას ლენინს, ამ ქვეყანა ცველის მომტანა, განთავისუფლება მტრისა.



ხალხი წუხს, რომ ვერ მოესწრო ბე-  
ლადი თავისი ნამოღვაწარის ნაყოფის  
ხილვას და მის აღმომჩენ ვარსკვლავს  
მიმართავს:

მანათობელო ვარსკვლავო,  
ამბავთა მომსწრე ამისა,  
ეტყოდე დიდსა ლენინსა:  
— შენი ქვეყანა ჰყვავისა.  
დავვაჟკაცდით და დავდექით,  
როგორც დიდი კლდე სალისა.

დიდი ბელადის დაკარგვის სევდას  
ქვეყანა საგონებელში არ ჩაუდგია.  
მრავალჭირნანახი ხალხი თავის უკე-  
დავ ოპტიმიზმს მიენდო და გამოსავლიც  
მონახა — ირწმუნა ლენინის უკვდავება  
და მზეს მიუყენა გვერდით, თუმცა  
უპირატესობა მაინც ბელადს მიანიჭა.

ლექსი „ორი მზე“ მზისადმი მიმარ-  
თვაა:

ვით გვადრო, მაგრამ თქვენს შუა  
დიდია განსხვავებები,  
შენ მართო დღისით გვინათებ,  
ეს კი ღამითაც მზე არი.

კარგია შენი სხივები,  
მაგრამ ის გულსა ვერ სწვდება,  
გარეგან სახეს გვიბრწყინებს  
და ისევე უკან ბრუნდება.  
ლენინის სხივნი კი გულის  
და სულის სიღრმეს სწვდებიან,  
მოყვარეს განსაკურნავად,  
მტერს ლახვარივით ხვდებიან.

ხალხმა ლენინი მართო მისი უზადო  
საქმეების გამო კი არ შეიყვარა, არა-  
მედ მისი დიდი ადამიანური თვისებების  
გამოც. უბრალოებამ, გულწრფელობამ,  
ადამიანებისადმი მშობლიურმა დამო-  
კიდებულებამ და ყურადღებანიობამ ლე-  
ნინის სახელი სამუდამო შარავანდელით  
შემოსა და დიდისა და პატარისათვის  
სათაყვანოდ აქცია.

„ვერ წარმომიდგენია სხვა ადამიანი,  
— წერდა მაქსიმ გორკი, — რომელიც

ასე ყოფილიყო ამალღებული ხალხზე და  
შესძლებოდა თავიდან აეცილებინა პა-  
ტივმოყვარეობის გრძობა, შეენარჩუნე-  
ბინა „უბრალო ადამიანებისადმი“ ცოც-  
ხალი ინტერესი“.

ამიტომ არის, რომ ქართველმა ხალ-  
ხმა თავის შემოქმედებაში ლენინთან შე-  
ჭიდებული სიკვდილიც კი დამარცხე-  
ბულად გამოიყვანა. ხალხის რწმენით,  
სიკვდილსაც კარგი უყვარს. ის საგან-  
გებოდ ამოარჩევს ხოლმე კარგ ვაჟკაცებს  
შორის საუკეთესოს. ლექსში „მსგავსად  
მზისა და მთვარისა“ გადმოცემულია  
ბრძოლის ველზე სასიკვდილოდ დაცე-  
მული მეზობლის საუბარი „შავ, ყორ-  
ნისფერ“ სიკვდილთან, რომელიც თვალს  
ვერ უსწორებს სულთმობრძავ ვაჟკაცს,  
რადგან სიკვდილმა

მითხრა: ცოდვანი ბევრი მაქვს,  
მით ველარა ვარ ჭკვაზედა!  
ერთი მოკვალნი ისეთი,  
არ გაიცვლები სხვაზედა.  
ლენინი ერქვა სახელად,  
შვილი რუსეთის მხარისა.  
ჩემგან მოკლული, უკვდავი  
მსგავსად მზისა და მთვარისა.

მართალია, დიდი ბელადი ფიზიკუ-  
რად წავიდა ჩვენგან, მაგრამ მისი საქ-  
მე ცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს.  
მართალია, ლენინი აღარ არის, მაგრამ  
მისი შთამომავალნი მხარში უდგანან  
ბრძენ კომუნისტურ პარტიას და აგრძე-  
ლებენ დიდი ბელადის საქმეს.

ქვეყნის ნუგეშო ლენინო,  
დარდ ნუ გაყვება დარდზეო,  
ზეზედა დავარჩენ ვაჟკაცნი,  
მტრის ჯავრს არ სჭამენ ჯავრზეო.

ლენინის თემა ხალხურ შემოქმედე-  
ბაში ამოუწურავია. დიდ ბელადზე ხალ-  
ხში დღესაც იქმნება შთაგონებული პო-  
ეტური ნაწარმოებები. ასე იქნება მუ-  
დამ, რადგან ლენინი ჩვენი ცხოვრების  
თანამგზავრი და გზის მაჩვენებელი შუ-  
ჭურაა.

თიმიოპრაჰა ქარლოპანიძე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
კანდიდატი.

საქართველოს გეოგრაფიის სა-  
ხელმძღვანელოდან ყველაზე მტკი-  
ცვედ ის დამახსოვდა, რომ ბორბალოს  
მთის კალთებში იბადება სამი მდინა-  
რე. სამივე სხვადასხვა მხარეს მიედ-  
ნება და სამივეს ალაზანი ჰქვია: პი-  
რიქითა ალაზანი, თუშეთის ალაზანი  
და პირაქეთა ალაზანი.

პირაქეთა ალაზანი წიფლოვნის  
ვიწროებს რომ დააღწევს თავს და  
ლოდებზე თავპირდაჩეჩქვილი ჩამო-  
ივავებს, აი იმ ხეობას პანკისის ეძა-  
ხიან.

პანკისის ხეობა ულამაზესია. აღ-  
ბათ ეს იყო მიზეზი, რომ აქ ერთმა-  
ნეთის მოსწრებაზე დასახლებულან  
ფშავლები, ქისტები, თუშები, ოსები.

მაშინ, როცა ეს ამბავი მოხდა, პან-  
კისის ხეობაში მხოლოდ ერთი საშუა-  
ლო სკოლა იყო. ისიც ქისტების სო-  
ფელში. ამიტომ მეხუთე კლასიდან  
ერთმანეთს გვერდით მოგუსხდებო-  
დით ფშავლები, ქისტები, თუშები,  
ოსები და ერთად ვეწაფებოდით ცო-  
დნის წყაროს. თუმცა, კაცმა მართა-  
ლი უნდა თქვას, სწავლის წყურვი-  
ლი ზოგიერთს არ გვაწუხებდა, ყო-  
ველ გაკვეთილზე ვამტკიცებდით,  
რომ პირში წყალი გვედგა.

მაგალითად მე, ლექსო გოგოლაუ-  
რი, თითო კლასში ორი წელი ვიჯექი.  
ამაზე ისე არ მწყდებოდა გული, რო-  
გორც იმაზე, რომ ჩემნაირი ნიჭისა  
და უნარის პატრონები ხშირად მის-  
წრებდნენ წინ. ამას ისინი კარნახის  
შემწეობით ახერხებდნენ.

ჩვენს სკოლაში კარნახისათვის სა-  
უკეთესო პირობები იყო. ქართულად  
ვსწავლობდით, მასწავლებლებიც  
ქართველები იყვნენ. მათ არც ქის-  
ტურისა გაეგებოდათ რამე, არც ოსუ-  
რისა, მით უმეტეს, წოურის ენისა.  
ასე რომ, ქისტი მოსწავლეები ქის-  
ტურად კარნახობდნენ ერთმანეთს,  
ოსები — ოსურად, ხოლო თუშები  
— წოურად. ფშავლებმა კი მხო-  
ლოდ ქართული ვიცოდით. ქართუ-  
ლი ჩვენმა მასწავლებლებმა ჩვენზე  
უკეთესად იცოდნენ და ამიტომ ნაწ-  
ვიმარი ყვავებევით აბუზულნი ვის-





# ქუჩისი

(ციკლიდან — „ჩემი მეზობელი პისტაბი“)

ხედით გაკვეთილებზე. ვისხედით და სხვათა ბედნიერებით ვტყებოდით. ჩვენს კლასში ყოველდღე დაახლოებით ასეთი რამ ხდებოდა: ისტორიის მასწავლებელმა რეშიკო აღდამოვი გაიძახა. რეშიკო არასოდეს არ იტყოდა, გაკვეთილი არ ვიცო, თუნდაც წიგნი წაკითხული კი არა, ნანახიც არა ჰქონოდა. გავიდოდა, დადგებოდა დაფასთან და მისი შეფი — ძუღლი მაშინვე ქისტურად დაუწყებდა „საუბარს“ გვერდით მჯდომ ხედავს. უცხოს რომ ენახა,

ეგონებოდა, გოგონები ერთმანეთს რალაცას უამბობენო, ნამდვილად კი გაკვეთილს ჰკარნახობდნენ რეშიკოს, ის კი ქართულად ჰყვებოდა. მერი მასწავლებელი ახალი მოსული იყო, ქისტური ერთი სიტყვაც არ იცოდა პირველ ხანებში ვერც ხვდებოდა რამეს. ამიტომ იყო, ერთხელ ძუღლის რომ უყვირა: — რამდენჯერ უნდა გავაფრთხილო, წყნარად იჯექი, ამხანაგს ხელს ნუ უშლი-მეთქი!

მასწავლებლის თვალისასახვევად, რეშიკომაც ძუღლის უსაყვედურა:

— აბა, ეს რა არის, ძუღლი, ხელს რატომ მიშლი, ენას ვერ გააჩერებ?! ძუღლი რეშიკოსაგან ამას არ მოელოდა და ლოყებაწითლებულმა უთხრა:

— ხელს გიშლი, ხომ? კარგი, გავჩუმდები, — თქვა და გაჩუმდა.

— ბეგ ბარ ას, ძუღლი, ვო მაველაჰ სო!\* — უთხრა რეშიკომ.

— შეწყვიტეთ საუბარი! აღდამოვო, განაგრძეთ! — თქვა მერი მასწავლებელმა.

რეშიკო ერთხანს ისე დუმდა, თითქოს იმაზე ფიქრობდა, სად შევჩერდიო. თან მასწავლებლის მალულად ისევ ძუღლის ევედრებოდა, მიკარნახეო. მაგრამ გაბრაზებულმა ძუღლიმ ქისტურ-ქართულად უთხრა:

— რას მიყურებ? ას ჰიეხურგ დაც ჰუან.\*\*

ამ ვაჭრობაზე მთელი კლასი ახარხარდა. აღდამოვმა კი ნახა მიზეზი:

— ველარ მოვყვები, მასწავლებლო.

— რატომ?

— ამოდენა ხმაურმა გუნება წამიხდინა.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, რეშიკოს რამაც წაუხდინა გუნება და ამიტომ უფრო გვეცინებოდა.

მასწავლებელმა დაგვიყვირა და ჩვენც გავჩუმდით.

— განაგრძე! — შეახსენა.

— არ შემძლია. ნაძალადევად რომ მოვყვე, ხუთიანს არ დამიწერთ, ისე კი, აბა, რა აზრი აქვს. სხვა დროს მკითხეთ, მერი მასწავლებლო.

მეორედ გამოკითხვის დრო სად იყო, მეოთხედი მთავრდებოდა ამიტომ მერი მასწავლებელმა ძუღლის ჯიბრზე რეშიკოს „ხუთიანი“ დაუწერა.

— ეჰ, თქვენ კარნახით გაგყავთ ერთმანეთი, თორემ ჩემზე ნაკლები ორიანები არცერთს არ გეყოლებო-

\* გაგეხუმრე, ძუღლი, არ დამღუპო.  
\*\* მე აღარ გიკარნახებ.

დათ, — ვუთხარი შესვენებაზე ჩემს ქისტ ამხანაგებს.

— ლექსო, გული რატომ დაგწყვეტია? ქისტური რომ იცოდე, ვანა შენ არ გიკარნახებდი! — მითხრა ხედიმ.

— უპ, ქისტური რომ ვიცოდე, რა მიჭირდა, ჩემს ბედს ძალი არ დაწყევდა! სხვა თუ არაფერი, თითო კლასში ორი წელი აღარ ვიჯდებოდი... ისე, კაცმა რომ თქვას, ძნელი არ უნდა იყოს ქისტურის სწავლა. ცოტაოდენი ისედაც მესმის. თავი რომ გავიმეტო, ორ-სამ თვეში იმდენ ქისტურს ვისწავლი, რომ კარნახი გავიგო, — ვფიქრობდი.

— ხედი, თუ პირობას მომცემ, რომ ყოველთვის მიკარნახებ, ვისწავლი ქისტურს. — ვუთხარი.

ხედი ძალიან კეთილი გოგო იყო ჩემს სიტყვებზე გაეღიმა და შემპირდა, თუ ქისტურს ისწავლი, აუცილებლად გიკარნახებო. აბა, რას წარმოიდგენდა, ჩემისთანა ზარმაცი თუ რამეს ისწავლიდა საერთოდ. მე კი მტკიცედ გადავწყვიტე, აუცილებლად მესწავლა ქისტური. ამ მხრივ ჩემი პირველი ნაბიჯი ასეთი იყო: ამხანაგებს გამოვუცხადე, დღეის შემდეგ მხოლოდ ქისტურად მელაპარაკეთ მეთქი.

უცხო ენის სასაუბროდ შესწავლა რალაციტ წინდის დარღვევასა ჰგავს: ძაფს თუ ერთი წვერი უპოვნე, მერე მიპყევი და არღვიე. ასევე, უცხო ენას თუ ერთი ალღო აუღე, მერე თითქოს თვალი აგეხილაო, ყველაფერს ადვილად ისწავლი. ამას ჩემი გამოცდილება მალაპარაკებს. სალაპარაკო ქისტური სამთვეში ვისწავლე, და მესამე მეოთხედს კარნახის მოსასმენად მომზადებული შეგხვდი.

ბოლოსდაბოლოს, ის დღეც დადგა, როცა ჩემი ქისტურის ცოდნა პრაქტიკულად უნდა გამომიყენებინა.

დაიწყო ისტორიის გაკვეთილი. ხედი წინა დღესვე მყავდა გაფრთხილებული; ხვალისთვის გაკვეთილი კარგად ისწავლე, ხელი უნდა ავწიო-მეთქი. კი, ვისწავლიო, შემპირდა. მთელმა კლასმა იცოდა ეს და დიდი ამბით ელოდნენ იმ წუთს, როცა მე „ხუთიანს“ თუ არა, „ოთხიანს“ მაინც მივიღებდი კარნახის წყალობით.

ხელი რომ ავწიე, მერი მასწავლებელი გაოცდა:

— ოპ, გოგოლაურო, ნუთუ მოვესწარი იმ დღეს, რომ შენ გაკვეთილი იცი?

— დიახ, მასწავლებელო, გადავწყვიტე, დღეიდან ბეჯითად ვისწავლო.

— მაგას რა სჯობს! მაშ, გამობრძანდი რუკასთან!

ეს „გამობრძანდი“ არ მომეწონა, მაგრამ მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. ისე ჩქარა და რიხიანად გავედი, თითქოს შემშინებოდეს, გაკვეთილის მოყოლაში არავინ შემეცილოს-მეთქი.

— გლეხთა ომი ბოლოტნიკოვის ხელმძღვანელობით, — დამოუკიდებლად ვთქვი სათაური.

— გლეხთა ომი რუსეთში... — გამისწორა მასწავლებელმა.

— დიახ, რუსეთში, — გავიმორე და თვალი ხედისკენ გამექცა.


ხედიმ ძულეის დაუწყო „საუბარი“, მე კი მივდექი და ქართულად დავიწყე თარგმნა თარჯიმანივით. მართალია, გამოუცდელი გამო ერთ-სა და იმავე წინადადებას ხანდახან ორჯერ-სამჯერაც ვიმეორებდი, მაგრამ ამაზე არც მე მაძლევდა შენიშვნას მასწავლებელი და არც ხედის უსაყვედურებდა — ამხანაგს ხელს ნუ უშლიო. მიყურებდა და ოდნავ ეღიმებოდა. ის ღიმილიც მეუცხოებოდა, მაგრამ იმას რა მათქმობინებდა, რაც შემდეგ მოხდა.

„ალბათ უხარია, რომ გამოვსწორდი და იმიტომ მიღიმის“ — ვფიქრობდი გულში.

მოყოლა რომ დავამთავრე, ამხანაგებს გადავხედე. ყველა მე მიყურებდა. მომეჩვენა, თითქოს რალაციტის მოლოდინში სიცილს ძლივს იკავებდნენ. ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს ჩემს ირგვლივ ყველაფერი დამუხტული იყო, თითქოს ის-ის იყო, აფეთქება უნდა მომხდარიყო.

— ახლა განვლილი მასალა გავისენოთ, — მითხრა მერი მასწავლებელმა.

„ამის მადლობელი არა ხართ, ახ



ლა ძველს რომ მედავებით?“ — გავიფიქრე. ისე ვიყავი გაჯავრებული, კინლამ ხმამალა წამომცდა საყვედური.

— მასწავლებლო, წარსულს ნუ გავისხენებთ, — ისე ვუთხარი, თითქოს ძალიან მრცხვენოდა ჩემი წარსულისა.

— ისტორია წარსულის გახსენება საერთოდ. სად და როდის მოხდა სპილენძის აჯანყება?

— სპილენძის აჯანყება? — ისე გავიმეორე, თითქოს შევეკითხე პატივცემულო მასწავლებლო, ხომ არ შეგეშალათ-მეთქი?

— დიახ, სპილენძის აჯანყება, — ბტიკედ გაიმეორა მან.

აჰა, აი ბედი! რაც ქვეყანაზე ხათაბალაა, ყველა მე უნდა გადამეკიდოს... კარგი, ბატონო, გლენს უჭირდა ცხოვრება და აჯანყდა, მუშას უჭირდა და აჯანყდა. სპილენძს რა ძალა დაადგა, რა ეშმაკი შეუჩნდა, რამ აჯანყა?! თუ ბიჭი ხარ, მიდი და გაეცი პასუხი ასეთ უკულმართ შეკითხვაზე.

ხედის მუდართ სავესე თვალებით გადავხედე; არიქა, ხომ არაფერი იცი-მეთქი. მან შეწუხებული გამომეტყველება მიიღო და მხოლოდ ჩემთვის შესამჩნევად გაიქნია თავი, — არაო.

— ძველი ცოდვებისათვის ნუ დამსჯით, ნიშანს ნუ დამაკლებთ, მასწავლებლო! — ვუთხარი პასუხის ნაცვლად.

მერი მასწავლებელმა თვალები მოწყურა და ქისტურად მითხრა:

— ოხა, გოგოლაურ, ოხა! დაჰიეხარხ კელერ ვაც ჰო\*.

თითქოს შეგუბებულმა მდინარემ ჭებირი გაარღვია ისე ივრიალა ჩემი ამხანაგების გულში ჩაგუბებულმა სიცილმა.

გონს რომ მოვედი, შევამჩნიე, ამხანაგებიდან მხოლოდ ისინი იცინოდნენ, რომლებიც ცოტა რამეს მაინც სწავლობდნენ. ხოლო ჩვენ, ვინაც სული კარნახით გვედგა, ჯავრისაგან ისე ვიყავით, დანა კბილს ვერ გაგვიხსნიდა.

აი, ასეთი ბედი მაქვს! მე რომ მეგონა, ეს არის და მეშველ-მეთქი, მერი მასწავლებელმა მაინცდამაინც მაშინ არ ისწავლა ქისტური!

\* დაჰიე, გოგოლაურ, დაჰიე! კარნახით ფონს ვერ გახვალ.



სიომე  
შაშვიანი

# ჩუქრუჭ

ქ ა ი მ ჯ რ ე ხ ი ა ე ...

მატარებელი ორიოდე წუთი ჩერდება.

ესეც ბროწეულას სადგური! პატარა, მყუდრო სადგური.

ბაქანზე ერთადერთი კაცილაა, ძელსკამზე ჩამომჯდარი.

ვთხოვეთ, სკოლა-ინტერნატის გზა მიესწავლებინა ჩვენთვის.

— ეგერ, ის არის ინტერნატი, — ვრცელი მინდვრის ბოლოს აღმართული შენობებისაკენ გვითითებს. — კილომეტრნახევარი თუ იქნება იქამდე.

თხუთმეტიოდე წუთში სკოლა-ინტერნატს მივადექით.

მზე ეს-ესაა ამოიწვერა. ხასხასა მოლზე თვალისმომჭრელად აციმციმდა ცვარ-ნამი.

„ბავშვები ალბათ ჯერ არც იქნებიან ამდგარნი“.

მაგრამ აი, საძინებელი შენობის გვერდით, პაწაწინა ტბის პირას რამდენიმე ყმაწვილი ხელ-პირს იბანს და თან მხიარულად ექილიკება ერთმანეთს.

ეზოდანაც ხალისიანი ხმები მოისმის.

უფროსთაგან ყველაზე პირველად დირექტორი, პატივცემული მინაგონასარიძე შემოგვხვდა. მას დილაღრიანადვე შემოუფელია ორივე შენობა: ხომ ყველაფერი რიგზეაო, ხომ არაფერ უჩივის რამესაო.

სულ მალე, უფროსი პიონერხელმძღვანელი აზა კაპანაძე და უფროსი აღმზრდელი შუშანა ლასხიშვილიც შემოგვიერთდნენ.

ძალზე რთული და პასუხსაგებია სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ-პედაგოგთა მოვალეობა. მათ არა მარტო ცოდნა უნდა მისცენ აღსაზრდელებს, არამედ მშობლის მავივრობაც უნდა გაუწიონ, მშობლის გულის სითბო უნდა აგრძნობინონ...

ცნობილია: ყველა მოზარდი ერ-

გულიაად აცინა  
მაყურებელი და  
ციხქვეშ გათამა-  
შებულმა  
სკეტჩმა.



თნაირად როდი ეგუება ახალ წეს-  
ჩვევებს, ახალ გარემოს. ახალ აღმ-  
ზრდელებს. ზოგს კიდევ აღიზიანებს  
მისთვის უცხო ადამიანთა გულისხმი-  
ერება, ზრუნვა და... ინტერნატიდან  
გარბის.

აი, თუნდაც ეს მეოთხეკლასელი  
ბიჭუნა, რომლის თვალებიდან რა-  
ღაც უტეხი იმზირება! მას უკვე „მო-  
უსწრია“ რამდენიმე სკოლა-ინტერ-  
ნატის მითოვება და ბოლოს აქ, ბრო-  
წეულაში, გაჩერებულა. ჩანს, აქ  
იპოვნა ის სითბო, რომელიც სხვაგან  
ვერ ნახა.

— არა, აქედან აღარსად წავალ.

აქ კარგია! — ამბობს იგი და ჩვენც  
გვჯერა მისი.

საქართველოს ბევრი რაიონიდან  
მოსულან პატარები ბროწეულას  
სკოლა-ინტერნატში: თერჯოლიდან,  
ვანიდან, ცაგერიდან, ჭიათურიდან,  
საჩხერიდან, ზესტაფონიდან, ქარე-  
ლიდან, წულუკიძიდან, ლენტეხიდან...

და ყოველი მათგანი თავს ისე  
გრძნობს, როგორც შინ, საკუთარ  
ჭერქვეშ. უყვართ, პატივს სცემენ  
თავიანთ აღმზრდელებს რადგან...  
„გული გულს იცნობს და სული  
სულსა“...

— მე აქ ქუთაისიდან დავდივარ.

ღილით ორი მატარებლის გამოცვლა  
მიწევს. — გვესაუბრება ნაზი მასწავ-  
ლებელი. — საღამოს, თუ მატარე-  
ბელს ვერ მივუსწარი, ზოგჯერ ფე-  
ხითაც მიხდება შინ დაბრუნება. მაგ-  
რამ ფიქრშიაც არ გამივლია, ჩემს სა-  
ხლთან ახლოს, ქუთაისში გადასვლა  
სამუშაოდ. აბა, როგორ დავშორდე  
ჩემს მოსწავლეებს! ჩვენ ხომ დედა-  
შვილივით შევეთვისეთ ერთმანეთს!


ასე ფიქრობენ სხვა აღმზრდელი-  
პედაგოგებიც.

უფროს პიონერბელმძღვანელს,  
ახალციხიდან ჩამოსულს, ამავე სკო-  
ლა-ინტერნატში უცხოვრია, უსწავ-



ეს გოგონა, თა-  
მარა კოვალიოვა,  
მესამე კლასის  
სიამაყეა.

ვარჯიშობენ  
იწროთბიან  
ნორჩი მძლე-  
ოხნები.





ლოა და, რასაკვირველია, ზედმიწევნით ესმის რაზმეულის თვითიული წევრის გულისტკმა.

„სწავლა, სწავლა უპირველეს ყოვლისა!“ — ასეთია ბროწეულას სკოლა-ინტერნატის პიონერ-მოსწავლეთა დევიზი.

მართლაც სანაქებოდ სწავლობენ!

ნეტა მოგასმენინათ, რა გულგასახარად ჰყვებიან გაკვეთილებს ზეინაბ ლაღაძე, თამაზ ლასხიშვილი, ოლეგ ფხაკაძე, ვენერა ლულუნაშვილი, მელოტონ ლაღაძე, გულნარა ლულუნაშვილი, ამირან ცხვარაძე, თენგიზ მიხაილოვი, ომარ გაბრიაძე, თემურ ჩიქოვანი, დარეჯან შალამბერიძე, იაშე ლონღაძე, მადონა სირბილაძე, ტარიელ ბელთაძე, მარინე პაიჭაშვილი, ნაირა კუჭუხიძე... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!..

რაზმი რაზმს, კლასი კლასს ეკიბრება უკეთ სწავლაში.

საკლასო ყურნაღებშიც სულ უფრო და უფრო ხშირდება ნიშნები: „5“ და „4“.

ამიტომაც არის, რომ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე ყოველწლიურად ბროწეულას სკოლა-ინტერნატის არა ერთ მოსწავლეს გაუთქვამს სახელი.

აი, სულ ახლახანს, 24-ე რესპუბლიკურ კონფერენციაზე, მერვეკლასელი თამაზ ლასხიშვილი პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა ნამუშევრისათვის — „ფარაჯიანი პოეტი“ (ნარკვევი პოეტ სევერიან ისიანზე); გეოგრაფიის წრემ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელი დაიმსახურა. ხოლო წრის ყველაზე აქტიურ წევრს ნაილო შალამბერიძეს დიპლომი გადაეცა.

სასწავლო მასალის უკეთ ათვისებას დიდად უწყობს ხელს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების კაბინეტი. კაბინეტს აქვს დასაკეცი პლანეტარიუმი, კინოპროექტორი, მაგნიტოფონები, რადიომიმღებები, ტელევიზორები, ევიდოსკოპები, ტელესკოპები და სხვა ხელსაწყო-იარაღები. მოსწავლეები ინტერესით სწავლობენ ამ ტექნიკურ საშუალებათა მოწყობილობას და პრაქტიკულ გამოყენებას.

ბროწეულას სკოლა-ინტერნატში აღფრთოვანებით ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლის-

თავის შესახვედრად. პიონერები გულდასმით სწავლობენ დიდი ბელადის ბიოგრაფიას. საგანგებოდ გამოყოფილი დარბაზის კედლებს ამშვენებს ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი უზარმაზარი სტენდები.

თვითიულ კლასში, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, საინტერესოდ გაფორმებული ლენინის კუთხეა მოწყობილი.

— ჩვენს რაზმეულს პირობა აქვს დადებული, დიდი ბელადის დაბადების მე-100 წლისთავი ყოველმხრივ ღირსეულად იზეიმოს, — სწავლით, შრომით თუ სხვა კარგი საქმიანობით, — ამბობს აზა კაპანაძე.

მართლაც ბევრი რამ ჰქონდა სალაპარაკო და თავმოსაწონებელი მეექვსეკლასელ მერაბ შალამბერიძეს!

ამ ორიოდ თვის წინათ მერაბმა მოსწავლეთა 24-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მონაწილეებს შთამაგონებლად მოუთხრო თავისი სკოლა-ინტერნატის მუზეუმზე და ყველანი დააინტერესა.

ბროწეულას სკოლა-ინტერნატის მუზეუმში ყველაფერს რაღაც საზეიმო იერი დაჰკრავს. ყველაფერი აზრიახად და ლამაზად არის ვანლაგებულ-გამოფენილი.

უპირველესად, თვალში გეცემათ ოთახის შუაგულში დადგმული ქალის ქვევრსამარხი. იგი მარშან აღმოუჩენიათ სოფელ ზედა მესხეთში. ქვევრსამარხში სხვადასხვა ზომის ორი დოქი, თიხის სასმისი, მძივები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები და საყურეები ყოფილა. ყველაფრით ჩანს, რომ ეს ქვევრსამარხი ბრინჯაოს ხანისაა, როცა ქვეცამცვლებულს ჯდომელას მარხავდნენ.

ბევრი საგულისხმო ექსპონატი არის გამომზეურებული საქართველოს შორეული წარსულის ყოფაცხოვრების ამსახველ კუთხეში: ბრინჯაოს ხელშუბი, თიხი, ცული, მახვილი, შუბის ბუნჯი, რუსთაველის-დროინდელი მცირე ზომის ქვევრი, ძველისძველი თიხის დოქი, მძივები...

აგერ, ნუმიზმატიკის კუთხე — სხვადასხვა დროის მონეტები... ვინ იცის, ვის ხელში არ გამოიარეს მათ, სანამ ამ მყუდრო დარბაზში არ დაივანებდნენ! რატომღაც ალგეძერის სურვილი, შენც შეახო ხელი მათ... ამ კუთხის სიამაყე მაინც კოლხური



ამ ღრმა ქიდან თითქოს ქვევრების თვალი იუფრება...

თეთრაა, ძველი წელთაღრიცხვის VI-III საუკუნეებში გამოქრილი. კოლხურს გვერდს უმშვენებს XII საუკუნის ქართული თეთრა.

გულმოდგინედ შეუფროვებიათ და ცალკე გამოუფენიათ წყალტუბოს რაიონის წიაღისეულ სიმდიდრეთა ნიმუშები: მინდვრის შპატი, გუმბრინის მიწა (იხმარება ნავთობის გასაწმენდად, წინათ იგი აშშ-ს ფლორიდის შტატიდან შემოჰქონდათ), ოხრა, სხვადასხვა მინერალი... გვერდითა კედელზე წყალტუბოს რაიონში გავრცელებულ მცენარეთა ჰერბარიუმი, იმის იქით — იმერელი გლეხის ძველებური ჩაცმულობა იზიდავს თვალს.

რევოლუციის განყოფილება მნახველს ადგილობრივ მკვიდრთა რევოლუციურ საქმიანობაზე მოუთხრობს. აქ არის წყალტუბოელი ბოლშევიკების, პირველი კომკავშირული ორგანიზაციის — „სპარტაკის“ წყალტუბოელ წევრთა, ვეტერანი კომკავშირელების, აგრეთვე ვასილ კიკვიძისა და ნესტორ კალანდარიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სტენდები.

გატაცებით მუშაობს ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრე, რომელსაც ის-



ეროვნული  
წიგლიწიგლითა

ქართული  
წიგლიწიგლითა

ტორიის მასწავლებელი, მუზეუმის ორგანიზატორი ციალა ღვინიაძე უდგას სათავეში. მერაბ შალამბერიძე, რომან დევდარიანი, თინა და ბიძინა შალამბერიძეები, იური გაჩეჩილაძე, კანდიდ ბერიძე და სხვები მუდამდღე იმის ცდაში არიან, რომ რაიმე ახალი, საინტერესო ექსპონატი შემატონ მუზეუმს, რაიმე ახალი ხერხი მოიგონონ მშობლიური მხარის უკეთ შესასწავლად.

ჩვენი ვრცელი ქვეყნის რამდენი ღირსშესანიშნოა დაუთვალაიერებით, რამდენი ალბომი შეუდგენიათ ღიღის მონღოლებითა და გემოვნებით! — „ქუთაისის რუსთაველის ეპოქაში“, „რუსთაველის ეპოქის ძეგლები“ (გეგუთი, ველაი), „ხუთქიმიანი ვარსკვლავი და წითელი ყელსახვევი ერთმანეთის მხარდამხარ“ (სამშობლოს გმირი შვილები), „გმირთა ნაკვალევზე“; „კარავთა ქალაქი“... ბარაქალა მათ!

— ჩვენი სკოლა-ინტერნატი რომ გაიხსნა, ამ შენობების ირგვლივ ბაღების მეტს ვერაფერს ნახავდა კაცის თვალი, — გვიამბობს პატივცემული მინაგო ინასარიძე. — ყველა ეს ხე და ბუჩქი ჩვენი ბავშვების ხელით არის დარგული და გახარებული.

ხე და ბუჩქი კი ცოტა როდია აქ! ორივე შენობა მწვანე ტევრშია ჩამჯდარი. ყოფილ აღსაზრდელთა კარგ საქმეს ამყამად მათი შემცვლელი თაობა განაგრძობს. ინტერნატელები სათუთად უვლიან ნორჩ მცენარეებს, შორს გაშლილი ბოსტნის კვლებში დაუზარებლად შრომობენ. მათ კარგად იციან, რომ შრომის ზარმაცი ყველაფერში ურგებია. ყოველდღიური ფიზიკური შრომა მათთვის უკვე მოთხოვნილებად არის ქცეული.

ბროწეულას სკოლა-ინტერნატელები სპორტის მოყვარულებიც არიან, და მერე როგორი!..

აქ აღზრდილმა რამდენიმე სპორტსმენმა უკვე საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ამჟამადაც ბევრი ნიჭიერი მომავალი სპორტსმენი იღვამს ფეხს ინტერნატის ვრცელ სასპორტო მოედანზე.

ნორჩი კალათბურთელი თინა შალამბერიძე მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების წევრია. თინას არც მისი მეგობრები — ლოლა შალამბერიძე და ციცილო ჩხეიძე ჩამორჩებიან. ამ გუნდმა სამგზის დაისაკუთრა თასი რესპუბლიკურ და რაიონულ შეჯიბრებებზე.

ნუნუ გაჩეჩილაძე, ეთერ კუხალაშვილი, ლალი რობაქიძე, გულნაზი გეწაძე და სხვა ფრენბურთელები ყველგან ღირსეულად იცავენ მშობლიური სკოლის სპორტულ ღირსებას.

ვარჯიშობენ, იწვრთნებიან ნორჩი ფეხბურთელები, მძლეოსნები, მაგიდის ჩოგბურთელები...

განზრახული აქვთ საცურაო აუზის აშენებაც და მაშინ აქ სპორტის კიდევ ერთი სახეობაც გაჩნდება.

წყალტუბოს რაიონის ბროწეულას სკოლა-ინტერნატის გახსნიდან სულ 12 წელიწადია გასული. ყოფილ აღსაზრდელთაგან ზოგმა უკვე მიიღო უმაღლესი განათლება, ზოგიც სხვადასხვა ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობს სწავლას; დანარჩენები თავდადებით შრომობენ საკოლმეურნეო მიწოდებასა თუ ფაბრიკა-ქარხნებში. ისინი მაღლიერების ბარათებს სწერენ აღმზრდელ პედაგოგებს, ვინც მათ სულსა და გულში დღედაღამ სთესდა სიკეთის მარცვლებს და ცხოვრების დიდ გზაზე. საგზლად გაატანა ადამიანების, მამულის ნამდვილი სიყვარული.

უეჭველია, ბროწეულას სკოლა-ინტერნატში კიდევაც დაიზრდებიან კარგი ადამიანები, კარგი მამულიშვილები.

იუსუპ შამანსური

უზაბაი კობახი

ძირს დაუშვია რტოები  
მსხლის ხეს,  
მწვანე ნაყოფის  
სიმძიმით დაღლილს,  
მძიმე ვაშლები  
ასხია იქვე  
ვაშლის ხის ტოტსაც,  
მიწამდე დახრილს.  
და ქლიავის ხე,  
ცადასულ წვერით,  
მათ გადმოკუყურებს  
ამაყი მწერიო.  
რად არის ასე  
გოროში ნეტავ  
ეს ყოყლოჩინა  
შავი ქლიავი,  
რად იბღინძება.  
ზომაზე მეტად,  
ჭირნახულით ხომ  
არ მოაქვს თავი?!  
არა, ამბობენ,  
რომ სხვა ხეებში  
ის ვანიჩევა  
კეთილი ზრახვით  
ჩაუშაქრდება  
ნაყოფი ტკბილად  
და სავსე ტოტებს  
მერეღა დახრის.  
არ სურს აწყინოს  
ხილმა პატარებს  
და მკუხე ქლიავს  
არვის აკარებს;  
რომ ჩამუქდება,  
ბავშვებს მწიფე რტოს  
თავზე დააფენს —  
ჩამოკრიფეთო.

თარგმნა  
რამაზ ბარაკალიანმა.





ირაკლი  
სიხიშვილი

ხელოვნებათ-  
მცოდნეობის  
დოქტორი

**ქ**ერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც ძველი ეგვიპტისა და აღმოსავლეთის სხვა დესპოტიების კულტურა განვითარებას განაგრძობდა, საბერძნეთის ტერიტორიაზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე შეიქმნა სრულიად ორიგინალური.

ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისში პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობის დაშლამ და მონათმფლობელობის წარმოშობამ ხელი შეუწყო ხელოვნობისა და ვაჭრობის განვითარებას. საწარმოო ძალთა განსაკუთრებული სწრაფი განვითარება ძვ. წ. VII-IV საუკუნეებს ემთხვევა. ამ დროს ძველი საბერძნეთის ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრები იყო ქალაქ-სახელმწიფოები — პოლისები. ძველი საბერძნეთის საზოგადოებრივი წყობილება, გაცილებით ჰუმანური და დემოკრატიული ხასიათით, არსებითად განსხვავდებოდა ძველი აღმოსავლეთის დესპოტიების წყობისაგან. მისი ხელოვნება ემყარებოდა მსოფლმხედველობას, რომელიც ადიდებდა ჩვეულებრივ, მოკვდავ ადამიანს, მის უნარსა და ღირსებას, თავისუფალი და აქტიური, სრულყოფილი ადამიანის ღირსებას.

ძველი საბერძნეთის არქიტექტურაში არჩევენ სამ ძირითად პერიოდს.

პირველ, არქაულ პერიოდში (ძვ. წ. VIII-VI სს) მთავრდება მონათმფლობელური პოლისების შექმნა, იქმნება აგრეთვე ბერძნული ორდერები და ტაძრების თუ საზოგადოებრივი შენობების უძველესი სახეები.

მეორე, კლასიკურ პერიოდში (ძვ. წ. V-IV სს), რომელიც დაკავშირებულია სპარსეთსა და კართაგენზე გა-


# ქვენი საზოგადოების საქმიანობა

რამდენადმე ზღაპრული ხელოვნება. ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის შუა წლებამდე ამ ე. წ. ეგეოსის კულტურის ცენტრი კუნძული კრეტა იყო, ცოტა მოგვიანებით კი, — საბერძნეთის ტერიტორიაზე — ქალაქი მიკენი. კრეტამ შემოგვინახა გრანდიოზული სასახლეები კნოსოსსა და ფესტოსში, თავისი რთული გეგმარებით, განუმეორებელი არქიტექტურული ფორმებით და ცხოველხატული კედლის მხატვრობით, მიკენმა კი — შესანიშნავი გუმბათოვანი აკლდამა — ე. წ. „პატროსის საგანძური“, ქალაქის შესასვლელი, რომლის ზღუდარის თავზე მოთავსებულია ფილა ლომების გამოსახულებით, და სასახლის საზეიმო დარბაზები, რომელთა შორის გამოიყოფა დიდი მეგარონი. სწორედ აქ, კრეტასა და განსაკუთრებით მიკენში, ჩაისახა ბერძნული არქიტექტურის უმთავრესი ელემენტები. თუ დავხედავთ მსოფლიოს რუკას, დავინახავთ, რა მცირე ტერიტორია ეკავა ძველ საბერძნეთს: ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი, ეგეოსის ზღვის კუნძულები და მცირე აზიის სანაპიროს ვიწრო ზოლი. სწორედ ამ პატარა სამყაროში შეიქმნა უბადლო, ბრწყინვალე კულტურა, რომელსაც დღესაც, 2500 წლის შემდეგ, არ დაუკარგავს დიდება და ძალა.

მარჯვებებთან და ქვეყნის ეკონომიურ აღმავლობასთან, შეიქმნა ათენის ბრწყინვალე ანსამბლები, სრულ აყვავებას მიაღწია საბინაო და სატაძრო არქიტექტურამ.

უკანასკნელი, ელინისტური პერიოდი (ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი — II ს) დაკავშირებულია პოლისების რღვევასთან და აღექვანდრე მაკედონელის იმპერიასთან, რომლის დაშლის შემდეგ აღმოცენდა ახალი ელინისტური სახელმწიფოები.

ბერძნული არქიტექტურის უძველესი ტიპია საცხოვრებელი სახლი — მეგარონი. იგი სწორკუთხოვანი ფორმის ოთახია, რომელსაც ვიწრო მხრიდან ახლავს შვერილი კედლები (ანტები), რომელთა შორის ორი სვეტია. ანალოგიური ტიპის უმარტივეს ტაძარს ანტებიანი ტაძარი ეწოდება. ტაძრის წინ ოთხი სვეტის დადგმით იქმნებოდა უფრო რთული ტაძარი — პროსტილი, ან ამფიპროსტილი, ორივე მხრიდან სვეტებით. შემდგომი ნაბიჯი იყო პერიპტერონი, — ტაძარი, რომელსაც სვეტები ირგვლივ შემოუყვება. დორიული სვეტნარი ბერძნული არ-



მიაქინის კარი

ქიტეჭტურის ერთ-ერთი ძირითადი მხატვრული ხერხი ვახლდათ. იგი ტაძარს თუ სხვა შენობას ანიჭებდა სიმსუბუქეს, მეტყველებას და გარემო სივრცესთან მხედველობითსა თუ სივრცითს კავშირს.

სვეტნარის არქიტექტურული ფორმის დამუშავების მიზნით ბერძნებმა შექმნეს ელემენტების წყობა ანუ სისტემა, რომელსაც ორდერი ეწოდება. თავდაპირველად გავრცელებული იყო ორი სახის ორდერი — დორიული და იონური.

დორიული ორდერი ფორმათა ღრმად გააზრებული სისტემაა, სადაც მხატვრულად მეტყველი ფორმები შექმნილია კონსტრუქციული სისტემის შემოქმედებითი გააზრების შედეგად. დორიული ორდერის სვეტი უშუალოდ ეყრდნობა სტილობადს (ტაძრის საფუძველს), უბაზისოდ. იგი თანადათანობით ვიწროვდება ზემოთკენ და შუა წელზე ოდნავ ამოზოცულია. სვეტის ღერო დასერილია ღარებით — კანელურებით, რაც ავლენს მის ფორმას და ქმნის შუქ-ჩრდილის თამაშს. სვეტის თავი მრგვალი, მრუდხაზოვანი პროფილის ფილაა — ექინი,

მასზე მოთავსებულია მეორე, კვადრატული ფილა — აბაკი. ეს უკანასკნელი სვეტიდან მასზე დაყრდნობილ კოჭზე — არქიტრავზე გადადის. არქიტრავი, ფრიზი და კარნიზი ქმნიან სვეტებზე მდებარე გადახურვას — ანტაბლემენტს.

იონიური ორდერი დორიულთან შედარებით ნაკლებად მონუმენტურია, სამაგიეროდ, უფრო მოხდენილია და მორთული. სვეტები უფრო ფაქიზია, მათ შორის მანძილიც უფრო დიდია. სვეტს ახლავს ბაზისი, სვეტის თავი კი ორი სიმეტრიული სპირალური ხვეულით — ვოლუტებით გვირგვინდება.

საბერძნეთში შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული კორინთული ორდერი. მის კიდეც უფრო მოხდენილი სვეტისათვის დამახასიათებელია აკანთის (მცენარის) სტილიზებული ფოთლებით შემკული კაპიტელი.

ორდერული სისტემა ადამიანთან ბერძნული ტაძრის დაკავშირების კიდეც ერთი დამადასტურებელი საბუთია. თუ ძველ აღმოსავლეთში სვეტები ძირითადად მცენარული მოტივების ვარიანტები (ლოტოსი, პაპირუსი, პალმა) იყო, ბერძნულ სვეტებში ადამიანების მსგავსებას ხედავენ: დორიულ სვეტს მამაკაცს ამსგავსებენ, იონურს — ქალს, კორინთულს კი — ქალიშვილს.

უძველესი დორიული პერიპტერონები იყო: ბერძნული ტაძარი ოლიმპიაში (ძვ. წ. VII ს), სელინუნტის ტაძარი და პესტუმის ბაზილიკა (ძვ. წ. VI ს.). აფაიას ტაძარი კუნძულ ეგინზე და სხვ.

ძვ. წ. V საუკუნეში, სპარსეთზე გამარჯვების შემდეგ, ათენი ბერძნული კულტურის ცენტრი ხდება. პერიკლეს დროს (ძვ. წ. 443-429 წწ) მონათმფლობელურმა დემოკრატამ განსაკუთრებული პირობები შექმნა ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტექტურის განვითარებისათვის. იწყება ბერძნული ხელოვნების კლასიკური პერიოდი. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ ხელი შეუწყო შენობათა ახალი ტიპების შექმნას. ეს ტიპებია: პრიტანეუმი-პოლისის სამმართველო, ბულევტერიუმი — საზოგადოებრივი კრებებისა და საბჭოს სხდომების შენობა, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, სტენდები, გიმნასიონები, პალესტრები (სასწავლებლები), მემორიალური ძეგლები და სხვ. საბოლოოდ ჩამოყალიბდა დო-



პოსეიდონის ტაძარი პესტუმში  
პართენონი  
პროპილეონი

რიული ტაძრის ტიპი. ამასთანავე, ვრცელდება იონიური ორდერი, რომელიც IV ს. ბოლოს გაბატონდა ბერძნულ არქიტექტურაში. ქალაქთა დაგეგმარებაში ვლინდება რეგულარული სისტემა. ქალაქის მოედნები გამწვანებულია, მორთულია ქანდაკებებითა და შედრევენებით. ქალაქს ქვის მიღების საშუალებით აწვდიან წყალს. მოწყობილი იყო საცხოვრებელი კვარტალების კანალიზაცია. ამ პერიოდის ბერძნული სახლი სადგომთა ჯგუფია, განლაგებული მცირე ზომის ღია ეზოს ირგვლივ. ეზოს ჩრდილოეთის მხარეს მოთავსებული იყო ღოჯია, რომელიც ოთახებს მზის სხივებისაგან იცავდა. შესასვლელთან ახლოს მდებარეობს საწიმიო სადგომი — ანდრონი, საცხოვრებელი ოთახები; აბაჯანა და სამზარეულო კი შენობის სიღრმეშია. ასე შეიქმნა ე. წ. პერისტილური სახლი, სადაც კომპოზიციის ცენტრი მოზრდილი, სვეტებით შემოფარგლული ეზოა.

ამ პერიოდში შეიქმნა ბრწყინვალე დორიული ტაძრები: ზევსის ტაძარი ოლიმპიაში (ძვ. წ. 468-460 წწ.), პოსეიდონის ტაძარი პესტუმში (V ს.).

მაგრამ კლასიკური პერიოდის ძეგლთა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ანსამბლი უცილობლად არის ათენის აკროპოლისი, რომელიც ათენის დაწინაურების პერიოდში მთელი საბერძნეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცენტრი იყო. ქალაქის ცენტრში, მაღალ ბორცვზე, აგებული იყო შესანიშნავი ძეგლები: პართენონი (447-432 წწ.), პროპილეონი (437-433 წწ.), ნიკეს ტაძარი (450-431 წწ.) და ერეხთეიონი (420-407 წწ.).

ყოველწლიურად ათენის აკროპოლისისაკენ მიემართებოდა საწიმიო პროცესია. ოთხ წელიწადში ერთხელ კი განსაკუთრებული ზემოთ ეწყობოდა ე. წ. პანათენეების მსვლელობა. მსვლელობა იწყებოდა კერამიკოსიდან, ათენის განაპირა უბნიდან, მზის ამოსვლასთან ერთად. მასში მონაწილეობდნენ ქალაქის მმართველნი, მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები, შეჯიბრებებში გამარჯვებულნი. ნელა მიდიოდა ეტლები, მათ მიყვებოდნენ ცხენოსანი ვაჟკაცები, ულამაზეს ქალწულებს მიჰქონდათ მდიდრული პეპლოსი — წამოსასხამი ქალღმერთ ათინასათვის. პროცესია მიემართებოდა აღმოსავ-

ლეთისაკენ — მზის შესახვედრად, ვიწრო ბილიკით აღიოდა აკროპოლისის ბორცვზე, და პირველი, რაც აჩერებდა მას და იპყრობდა უურადლებას, იყო საწიმიო შესასვლელი — არქიტექტორ მნესიკლეს მიერ აგებული პროპილეონი. გვერდებიდან კედლებით შემოფარგლული მკაცრი დორიული სვეტნარი ოდნავ გაციცხლებულია შუაში დაუენებული იონური სვეტებით. ყველაფერს საწიმიო იერი აქვს. მარჯვნივ, კლდის ზვერილზე დგას გამარჯვების ქალღმერთის — ნიკეს ტაძარი. ეს პატარა ტაძარი განსაკუთრებულად ნატიფი და მოხდენილია. იონური ორდერის პორტიკი, ფაქიზად დამუშავებული ფრინჯი, — ბერძენთა და სპარსელთა ბრძოლების ამსახველი ბარელიეფით, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს და მშვენივრად იკითხება ლურჯი ცის ფონზე.

პროპილეონის გავლის შემდეგ ადამიანის თვალწინ იშლება დიდი მოედანი, რომლის შუაგულში იდგა ათენა პრომაქოსის (მებრძოლის) უზარმაზარი ქანდაკება, სახელგანთქმული ფიდეასის მიერ შექმნილი. მარჯვნივ დგას აკროპოლისის მთავარი და საუკეთესო ტაძარი — პართენონი. ხუროთმოძღვრების — იქტინოსისა და კალიკრატეს მიერ აგებული ეს ტაძარი პროპილეონის ღერძის მიმართ კუთხით არის მიქცეული. ამის წყალობით იგი მაყურებლის თვალწინ მთელი თავისი მოცულობით იშლება. ტაძრის სრულ აღქმას ისიც უწყობს ხელს, რომ ტაძარში შესასვლელად პროცესიას ირგვლივ უნდა შემოეველო და დამტკბარიყო მისი სრულყოფილი ფორმებით. პართენონი მარტო ბერძნული არქიტექტურის გვირგვინი როდია, იგი მსოფლიოს ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნაწარმოებიც არის; პართენონი დგას აკროპოლისის ყველაზე შემალღებულ ადგილას და გაბატონებულია მთელ ანსამბლში. მისი განსაკუთრებული მხატვრული ხარისხი დაფუძნებულია ორდერული სისტემის ღრმა გააზრებაზე და ბრწყინვალე პროპორციებზე. სხვა დორიულ ტაძრებთან შედარებით პართენონის სვეტები გაცილებით მსუბუქია. მათში შინაგანი ძალა და აღმაფრენა იგრძნობა. პენტელეონის თეთრი მარმარილოს სვეტები და მთელი ტაძარი რაღაც უჩვეულო, წმინდა კრისტალის შთაბეჭდილებას ახდენს. გეგონებათ, იგი ხუროთმოძღვრის მიერ კი არ არის აგებული, არამედ თვითონ აღმოცენდა ბერძნულ მიწიდან.



ასეთი შთაბეჭდილება იქმნება ძირითადი ხაზების გეომეტრიული სიზუსტისაგან გადახრათა წყალობით. პართენონის სვეტები ოდნავ გადახრილია შენობის კედლებისაკენ, კუთხური სვეტები ერთმანეთთან მჭიდროდ დგას, ვიდრე შუაში. სვეტებს შორის მანძილი არის თანაბარი. სვეტები შემოთქენ ვიწროვდება, მაგარამ შუაწელში ოდნავ გასქელებულდება, თითქოს არქიტრავის სიმძიმის გამო დაჭიმულაო. ჰორიზონტალური ხაზებიც არ არის ზუსტი ფასადების შუა ნაწილში ისინი ოდნავ ამალღებულა. როგორც ხედავთ, აქ არის ზუსტი გაანგარიშებისა და ბრწყინვალე შეგრძნების შერწყმა.

შიგნით ტაძრის ცელა ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი განძეულობისათვის იყო განკუთვნილი; მეორე, მთავარ ნაწილში, შესასვლელის პირდაპირ იდგა ფიდაისის მიერ ოქროს და სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ათინას ქანდაკება. ფიდაისსვე ეკუთვნის ძეგლის ფასადთა სკულპტურული სამკაული. ორივე ფასადის ფრონტონებზე მოთავსებული იყო რთული კომპოზიცია: აღმოსავლეთისაზე — ათინას დაბადება, ხოლო დასავლეთისაზე — ათინას დავა-პოსეიდონთან ატიკაზე ბატონობისათვის. ფრიზის მეტოპებზე მოთავსებული იყო რელიეფური მითოლოგიური სცენები, ხოლო საკუთრივ ტაძრის კედლის ზემო ნაწილში დაყოლებული იყო მთლიანი სკულპტურული ფრიზი, რომელიც პანათენების მსვლელობას ასახავდა.

პართენონის მოპირდაპირე მხარეს დგას მეორე მნიშვნელოვანი ტაძარი — ერესთეიონი, მისი აღნაგობა უცნაურია ბერძნული არქიტექტურისათვის. ტაძრის განლაგება რელიეფის ორ დონეზე, მოცულობათა დანაწევრება და სამი მხრიდან განსხვავებული იონური პორტიკების არსებობა ქმნიდა მეტყველ კონტრასტს პართენონთან. ძეგლის კომპოზიცია, მისი დახვეწილი ორნამენტაცია, სხვადასხვა ფერის მარმარილოს ფერთა თამაში მეტად ცხოველხატულია. განსაკუთრებით საოცარია მისი სამხრეთის პორტიკი, სადაც სვეტების ნაცვლად ანტაბლემენტი ეყრდნობა ქალიშვილების (კორების) ნაკვეთებს. ერესთეიონის ეს კარიატიდები ინარჩუნებენ ცოცხალ ადამიანთა მთელ მომხიბვლელობას, ისინი მსუბუქად

ზიდავენ თავის ტვირთს. სხეული ცალ ფეხს ეყრდნობა, გამჭვირვალე ტანისამოსში ჩანს ნაწი სხეული. მაგრამ, ამასთან, ისინი სვეტებსაც ემსგავსებიან. სამოსელის ნაკლები კანელურების გამოძახილია. სხეულებში ვლინდება სიმტკიცე და თავშეკავება. აქ მიღწეულია არქიტექტურულ-ფუქციურისა და სახვით მნიშვნელობათა შორის სრული წონასწორობა.

აკროპოლისის ანსამბლი მრავალფეროვანი ცალკეული ძეგლების ჰარმონიული წონასწორობისა და შინაგანი ერთიანობის შესანიშნავი მაგალითია.

ამ პერიოდის მემორიალურ ნაგებობათა შორის აღსანიშნავია ლიზიკრატეს პატარა ძეგლი, მომღერალი ბიჭების გუნდის გამარჯვების აღსანიშნავად ძ. წ. 384 წელს აგებული.

ექვსი კორინთული სვეტით შემკული ეს ცილინდრული ფორმის ნაგებობა მოხდენილი ფორმებითა და სილამაზით გამოირჩევა.


აკროპოლისის კალთაზე შემონახულია დიონისეს თეატრის ნანგრევები.

უდიდესი თეატრი (დიამეტრით 115 მ.) დაცულია ეპიდავრში (ძვ. წ. IV ს.).


ჩვეულებრივ ბერძნული თეატრი ბორცვის კალთაზე შენდებოდა; აქ იქმნებოდა თეატრონი — კონცენტრულად განლაგებული მაყურებელთა ადგილები. ცენტრში წრიული ფორმის ბაქანი-ორკესტრა იყო, მის უკან კი — შენობა, რომელსაც სკენე ეწოდებოდა. სპექტაკლი ღია ცისქვეშ მიმდინარეობდა და მაყურებლის თვალწინ შესანიშნავი ხედი იწლებოდა.

ამავე პერიოდში აშენდა დიდი სტადიონები (200×50 მ) ათენში, ოლიმპიაში, ეპიდავრში.

ბერძნული პოლისები მაკედონელთა მონარქიას დაექვემდებარა. ალექსანდრე მაკედონელმა შექმნა ვრცელი იმპერია შავი ზღვიდან ინდოეთამდე და შუა აზიიდან ეგვიპტემდე. ბერძენი კოლონიზატორები გაეშურნენ აღმოსავლეთისაკენ და დაიწყეს ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის სანაპიროების ქალაქების მშენებლობა. ამ პერიოდში აშენდა ან განახლდა: პრიენა, მილეტი, სმირნა, ალექსანდრია, პერგამონი და სხვ. ქალაქთმშენებლობაში ვითარდება ჰიპოდამ-



არტემიდას ტაძარი  
ეფესში



ეპიდავრის  
თეატრი

მიოხის დაგეგმარების რეგულარული სისტემა. ქალაქის დაგეგმარების საფუძველს შეადგენს ორი ძირითადი ღერძი, რომელთაც ექვემდებარება ქუჩების ქსელი. ელინისტური ქალაქის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს ქალაქი პრიენა. იგი მდებარეობს მაღალი მთის კალთაზე, ძველი აკროპოლისით. მას ახასიათებს ქუჩების სწორკუთხოვანი ბადე, რომელთა შორის გამოიყოფა ორი მთავარი ქუჩა. მათს გადაკვეთაზე მოთავსებულია საზოგადოებრივი ცენტრი, მოედანი — აგორა, სამი მხრიდან მოშონებული სტოებითა და ღუქნებით. მოედანთან დაჯგუფებულია ქალაქის მთავარი შენობები: ეკლესიასტერიუმი (სახალხო კრების სხდომათა დარბაზი), პრიტანეუმი და სხვ. აგორის ჩრდილოეთით მთის კალთაზე, თეატრი მდებარეობდა, ხოლო სამხრეთით — სპორტული ნაგებობანი. როგორც ჩანს, კლასიკური პერიოდისაგან განსხვავებით ქალაქის ცენტრს სატაძრო ანსამბლი კი არ წარმოადგენდა, არამედ საზოგადოებრივი ცენტრი. ამ მხრივ საყურადღებოა ქალაქი პერგამონიც, სადაც მრავალრიცხოვანი შენობები ცხოველბატულადაა განლაგებული რთულ რელიეფზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზევსის განთქმული საკურთხეველი, ღმერთებისა და გიგანტების ბრძოლის ამსახველი უზარმაზარი გორელიეფით.


ელინისტურ ხელოვნებაში ვლინდება ბერძნული ფორმებისა და კომპოზიციური ხერხების შერწყმა დაპრობილი ქვეყნების ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებთან.

ეს თვალსაჩინოდ ჩანს ჰალიკარნასის მავზოლეუმის (ძვ. წ. 355 წ.) კომპოზიციაში. ორსართულიან გლუვ პოსტამენტზე დადგმულია იონიური პერიპტერონი, მაღალი სვეტნარით, სადაც სვეტებს შორის ქანდაკებნია დადგმული. შენობა მთავრდება საფეხურებისგან პირამიდით, რომელსაც აგვირგვინებდა მეფე მავზოლისა და მისი მეუღლის — არტემისიას ქანდაკებები.

ტრადიციული პერიპტერონის გვერდით ჩნდება უზარმაზარი ტაძრები. ეფესში შენდება არტემიდას ახალი ტაძარი. აქ კლასიკური პერიოდის სისადავე იცვლება გრანდიოზულობით, სიმდიდრით და ფორმათა დაზვინვით. 19-მეტრიანი სვეტების ბაზისები მორთულია გორელიეფებით. ასეთივე სიმდიდრითა და ზედმეტი დეტვირთულობით ხასიათდება IV საუკუნის მეორე ტაძარი — დიდიმეიონი მილეთში.


ელინისტური პერიოდის არქიტექტურა, ისევე, როგორც საერთოდ ბერძნული კულტურა, გაცილებით რთული და მრავალფეროვანი ხდება. ხელოვნებაში ვითარდება ინდივიდუალიზმი, სისადავისა და მონუმენტურობის ნაცვლად ჩნდება რთული კომპოზიციები, დახვეწილი ფორმები და დამუშავების სიმდიდრე.

ძველი საბერძნეთის მემკვიდრეობას დიდი და პროგრესული გავლენა ჰქონდა მსოფლიოს არქიტექტურის შემდგომ განვითარებაზე. მან არა მარტო შექმნა შენობათა მრავალი და სრულიად ახალი ტიპი, და მათ ჰუმანიტური, ადამიანური ხასიათი მიანიჭა, არამედ იგი წყვეტდა არქიტექტურულ ამოცანებს საზოგადოებრივი წყობილებისა და ხალხის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ბერძენი ხუროთმოძღვარი შესანიშნავად ფლობდნენ ბუნებასთან არქიტექტურის შესამების რთულ ხელოვნებას, მათ არქიტექტურისა და ქანდაკების ჰარმონიულ შერწყმას მიაღწიეს და ისეთი ნაწარმოებები შექმნეს, რომლებიც ყოველთვის გააკვირვებს და უდიდესი ატაცებით შეიპყრობს ადამიანს.



ათენის აკროპოლი

ჰალიკარნასის მავზოლეუმი





სამახსოვროდ ჰყოფნის ესეც, —  
მშვიდად უსმენს მამლის ყვირლს.  
გარიჟრაჟი სოფლის მეკერძე  
გაიბადრა ყვაველივით.

მგოსანს ღვიძავს და სიამით  
გლუნჯაკებთან ლხინს იხსენებს;  
დაივიწყეს დარდი ღამით  
და კისკასით დაისვენეს...

მოიხედა, მის წინ, დაბლა,  
ნუგებარია გადაშლილი.  
მოჩუქურთმულ ფართო ტაბლას  
ღვინოც ამკობს ბაღანშივით.

კარი ისე აჭრიალდა,  
თითქოს ცვივა მძივზე მძივი.  
წყვილი თვალი აბრჭყვიალდა,  
ცას მოწყვეტილ ფირუშვით.

— შემობრძანდით! — თქვა  
მგოსანმა.  
მოტუტუსდა ბურძღლა ბიჭი.  
— გამარჯობა! — მიესალმა  
და გახედა სტუმარს იჭვით.

— ოო, მალხაზო, გაგიმარჯოს!  
მეგობრობას ქვეყნად რა სჯობს.  
მაშ, გავეცნოთ აგრე რივად:  
აკაკი ვარ.  
— მე კი — გიგა.

— რა კარგი ხარ, გიგა,  
თვალი ვარსკვლავს გიგავს.  
მე ვიამბობ ივავს,  
შენ ამოხსნი, გიგა.

„არის ქვეყნად მწყემსი,  
ის აპურებს ყველას.  
ოქროს ისრებს გვესვრის,  
მხოლოდ დღისით ელავს.  
ღამით ოქროს მალავს,  
ბრწყინავს ვერცხლის წყებად.  
თეთრზე თეთრი ფარა  
ვრცელ მინდორზე წვება“.

გულს მოაწვა მწყველი დარდი:  
მარცხი არ მხვდეს ზიარადო.

# აკაკი სტუმარს სტუმარს

ეპელიან ქარლიანი

იყო გლეხი სერეთიდან,  
უხვზე-უხვი ჰქონდა გული,  
მეტად ვახლდათ წერეთლის და  
მის ტკბილ ლექსთა მოყვარული.

ერთ დღეს სერეთს სიოსავით  
ხმა დაირხა: — ძმანო! დანო!  
ჩვენთან სტუმრად სხივოსანი —  
თვით აკაკი მობრძანდო!

სოფლელები დახვდნენ სტუმარს  
ღია კარით, ღია გულით.  
განშორება არვის სურდა,  
ყველა იყო მხიარული.

არც აკაკიმ მოიწყინა,  
ოხუნჯობით ერთობოდა,  
გლეხები არ მოიცილა,  
არც ერთი არ ეთმობოდა.

გათამამდა ჩვენი გლეხი,  
მივიდა და სთხოვა მგოსანს:  
— ჩემს ოჯახში თქვენი ფეხი  
იქნებაო ბედის მოსვლა.

გაელიმა მგოსანს მშვიდად,  
თითქოს მის გულს ურითმაო:  
— შენს ოჯახში მოსვლა მინდა,  
თუ შენც გინდა გულითაო...



# საქართველო

## ეშპაკუნები

ქვეყნად შვიდი წელიწადი  
გიგამ მამ რად იარო?

მწყემსის ოქროს ისარიო? —  
სხივია და მზის არიო.  
ლამით ვერცხლის მთოვარია? —  
ჰო, მზის ნაცვლად ხომ მთოვარია?  
მინდვრად უშვებს ფარასაო? —  
ვარსკვლავები ჰფარავს ცასო.

— მზე, მთვარე და ვარსკვლავები!  
— ყოჩაღ, გიგამ! ხარ გამგები.

კარი ისევ აჭრილდა,  
წყვილი თვალი აბრჭყვიალდა.

### ბ. ზოიხელი

მხატვარი პაპაძე თეზუაძე.

— გაიცანით, ძია,  
ჩემი ძმავ, გია.

— პატარებო! ავერ ახლოს  
ჩამოსხედით მტრედებივით,  
ჩვენს სუფრაზე ღვინი სახლობს,  
სიუხვეა ედემივით.

ხაჭაპური ფართო-ფართო,  
ძმათა ხელში აფარფატდა.  
სიკისკასე მგოსანს ართობს,  
ირგვილივ ღიმილს უხვად  
ჰფანტავს.

— ღმერთო, მომკალ! ღმერთო,  
ღმერთო,  
აქ ფეხი ვინ შემოდგაო!  
— ნუ მრისხანებ ასე ერთობ,  
გვაპატიე, ჩემო დაო.

დაველოცოს მადლი, დედავ,  
მეტი არ მსურს არაფერი:  
აკვლავაც ზარდე ქართლის  
მხედრად  
არწივები ასაფრენი.

ლღეგრძელობას თქვენსას  
ვფიქრობ,  
დაე, დამრჩეს სიტყვა თქმული:  
ქართულ მიწის სიტკბო-სითბომ,  
ზარდოს ძმური სიყვარული.

მხატვარი  
დიმიტრი ჯარაფიშვილი.

ერთ კლდოვან გამოქვაბულში ცეც-  
ხლისაგან გამურული ტაფა, რამდენიმე  
ტომარა, მეზღვურის ძველი ფანარი და  
საზღვაო კატასტროფიის შედეგად გა-  
დარჩენილი სხვადასხვაგვარი ნივთი ეყა-  
რა. გამოქვაბული სან მარტინოელი ეშ-  
მაკუნების მთავარი შტაბი იყო, წითური  
პაოლა კი — მათი წინამძღოლი.

ჯიანიმ ხმელი შეშა ერთმანეთზე და-  
აწყო, პაოლამ ასანთი გაპკრა და ცეც-  
ხლის დანთება სცადა.

ზღვიდან დაისი ამოიზარდა. სანაპი-  
როზე გაისმა მკვეთრი შეძახილი და  
უმალვე ყრუდ ჩაკვდა. სმენადამბული  
ბავშვები უძრავად ისხდნენ გამოქვა-  
ბულში. მაგრამ არაფერი მომხდარა,  
ქარს მხოლოდ კლდეებზე ტალღების მი-  
ხეთქების ხმა მოჰქონდა.

— მე მგონი, ბავშვის ხმა იყო! —  
პაოლა წამოხტა და ხტუნვა-ხტუნვით  
სანაპიროსკენ დაეშვა. ქვიშიანი ნაპირი  
ადამიანთა ნაკვალევით იყო დასერი-  
ლი, ბავშვები ზღვას გასცქეროდნენ. ბინ-  
დში ტალღებზე მოქანავე ნავი გამოჩნ-  
და. პაერი მოტორის ხმამ გააპო. მალე  
ნავი საღამოს ბინდში შთაინთქა.

ნესტიანი ქვიშა პაოლას შიშველი ფე-  
ხის ქუსლებს ჩაეზიდა.

— დარწმუნებული ვარ, ბავშვის ხმა  
იყო, — თქვა მან დაეინებით. ჯიანის  
გაეცინა: — სილის გაწნაზე ბავშვები  
ყოველთვის მწარედ ყვირიან.

პაოლა დაფიქრებით გასცქეროდა  
გზას.

პატარა ფაუსტო ტალღებისაკენ გა-  
იქცა და კენჭები მოისროლა. ტალღამ  
მას ხის სათამაშო ფერადი ცხენი მოუ-  
გდო. ფაუსტომ ხელით შეამშრალა სა-  
თამაშო. ჩეზარე და ჯიანი ცნობისმოყვა-  
რებით შეაცქეროდნენ.

— ნამდვილად ბავშვის ხმა იყო! ეს

პატარა ხის ცხენიც იმისია! — თქვა  
პაოლამ და ფაუსტოს სათამაშო გამო-  
ართვა.

სან მარტინოელმა ეშმაკუნებმა თავიან-  
თი გამოქვაბულისაკენ მოკურცხლეს, ხო-  
ლო როცა ჩეზარემ ცეცხლი დაანთო, ყვე-  
ლანი კოცონს შემოუსხდნენ და მოციმ-  
ციმე შუქზე ცდილობდნენ ცხენიანი ბი-  
ჭის თავდასავალი წარმოედგინათ, იმ  
ბიჭისა, შებინდებისას ზღვაში რომ გა-  
უჩინარდა.

მეორე დღით სოფლის ყველა სახ-  
ლი და ქუჩა მითქმა-მოთქმამ მოიცვა.  
ხმა სოფლის მოედანზე მდებარე კაფე-  
დან, სან მარტინოს სანაპიროზე თავმოყ-  
რილ ნაგებამდე გავარდა: ანტონიო, მე-  
ბადურ კაზოტის უმცროსი ვაჟი, უგზო-  
უკვლოდ დაიკარგაო. კაზოტი და ბებია  
ბარბარა მთელი ღამე დაეძებდნენ  
ბავშვს.

სან მარტინოელი ეშმაკუნები თავი-  
ანთ შტაბში ისხდნენ და კოცონზე ზღვა-  
ში დაჭერილ თევზს წვავდნენ. ჩეზარე  
დაკარგულ ანტონიოს და მებადურ კა-  
ზოტის ამბავს მოუთხრობდა მეგობრებს.

— სად არის ის ცხენი? — იკითხა  
უცებ პაოლამ და წამოხტა. პატარა ფა-  
უსტო გაკვირვებით მიაშტერდა.

— ეშმაკმა დალახვროს, ის ცხენი  
ტკბილ პაშტეტზე გადავცვალე ღიბიან  
მეფუნთუშე პოლპეტონიოსთან. — თქვა  
ფაუსტომ და თევზს ხელი გადაუსვა.  
პაოლამ ფეხი გაპკრა ფაუსტოს, — შე  
ღორმუცულავ, — მახალა და განრის-  
ხებულმა სან მარტინოსაკენ მოკურცხლა.

— ეშმაკმა დალახვროს, რა უცნაური  
გოგონაა! — ჩურჩულებდა თავისთვის  
პატარა ფაუსტო და ანხანაგებთან ერ-  
თად სან მარტინოსაკენ მიბრბოდა.

მეფუნთუშე პოლპეტონიოს სახლის  
წინ კედელთან პატარა ვიტორიო ჭრე-

ლი ხის ცხენით თამაშობდა. პაოლა თავ-  
ზე დასდგომოდა.

— ფუი, ვიტორიო, ეს რა უშნო ხის  
ცხენია, — ეუბნებოდა იგი.

პატარა ვიტორიომ ათვალწუნებით  
ახედ-დაახედა სათამაშოს და ხელში შე-  
ათამაშა.

— შეხედე, ცალყურაა! — გაიცინა  
ჯიანიმ. — ცალყურა ცხენი რაღა ცხენია!

— კუდიც კი არ შერჩენია ამ საცოდავს!

პატარა ვიტორიო ხან ერთს შეხედაფ-  
და, ხან მეორეს. მერე კედელს მიანარც-  
ხა ცხენი და შინისაკენ მოკურცხლა. პა-  
ოლასაც ეს უნდოდა. ცხენს  
ხელი დაავლო, ჯიბეში ჩაი-  
ტენა და მებადურ კაზოტის  
ქონისაკენ გაიქცა. მებადურ-  
მა ხის ცხენს მოფერება და-  
უწყო. პაოლამ უამბო რო-  
გორ დაინახეს ტალღებზე  
მოქანავე ნავი, როგორ მო-  
ესმა ბავშვის შეძახილი.

მებადურმა კაზოტიმ სი-  
ბრაზისაგან თვალები გად-  
მოკარკლა. მეზობლები მო-  
გროვდნენ. სათამაშო ხელი-  
დან-ხელში გადადიოდა. ბე-  
ბია ბარბარამ ტირილი და-  
იწყო.

— კაზოტი! — თქვა ერთ-  
მა მოხუცმა მებადურმა, ან-  
ტონიო იმათ მოიტაცეს, რა-  
კი ჩვენ სან მარტინოელ მე-  
ბადურებს გვსურს ჩამოვყა-  
ლიბოთ ამხანაგობა ქალა-  
ქელი პადრონეს საწინააღ-  
მდეგოდ. ნამდვილად ეს ასე  
იქნება!

— ეშმაკმა დალახვროს!  
— შესძახა პატარა ფაუს-  
ტომ. — რატომ იტაცებენ  
პატარა ბავშვებს: ქვიშასა-  
ვით ბევრია სან მარტინოში  
ბავშვები? მოხუცმა მება-  
დურმა მშვიდად შეხედა პა-  
ტარა ფაუსტოს. — იმიტომ  
ჩემო ფაუსტო, რომ კაზოტის  
ამხანაგობის ჩამოყალიბება  
სურს და მოწინააღმდეგეებ-  
მა მის ერთადერთ ვაჟი-  
შვილზე იძიეს შური.

პაოლამ მუკლუგუნე წა-  
პკრა ბავშვებს და უკან მო-  
კურცხლეს.

— ეშმაკსაც წაუღია  
თქვენი ფიქრები და აზრები,  
მე მაგის არაფერი გამე-

გება, — ამბობდა პატარა ფაუსტო.

პაოლას ფაუსტოსთვის ხელი შემოეხ-  
ვია და უძრავად იდგა.

„ქალაქელ პადრონეს კაზოტის გამო-  
ძალვა სწადია. მას უნდა მხოლოდ თვი-  
თონ ვაჭრობდეს სან მარტინოს თევზით  
და თავისი დიდი მუცელი ლირებით ამო-  
ივსოს. ცდილობს, მებადურები მოატ-  
ყოს, ამიტომ მოიტაცა ანტონიო. ეშ-  
მაკსაც წაუღია მსუნაგი პადრონე!“

პატარა ფაუსტომ ქვიშაზე გადააფურ-  
თხა. — ჩვენ უკანვე მოვიტაცებთ ან-  
ტონიოს!

ბავშვები სირბილით გაჰყვნენ სანა-  
პიროს და როცა იმ ადგილზე მივიდნენ,  
სადაც ტალღამ ანტონიოს სათამაშო ხის  
ცხენი გამორიცა, პაოლამ კვალს დაუწ-  
ყო ძებნა, მერე კი ამხანაგებს მიმართა:  
— თქვენ რომ მოგეტაცათ ბავშვი, რას  
უზამდით?

პატარა ფაუსტოს გაეცინა. ეშმაკმა  
დალახვროს, მე არასოდეს არ მოვიტა-  
ცებდი ბავშვს. ისედაც ბევრნი ვართ  
ოჯახში.

ჯიანი ჩაფიქრდა. — თუ მოვიტაცებ-  
დით, დავმალავდით.



— კი მაგრამ სად? — ჰკითხა პაოლამ. ჩეზარემ, ჯიანიმ და ფაუსტომ ზღვისკენ გაიხედეს. ნისლიან ჰორიზონტზე ზღვაში ჩაყვინთული პატარა კუნძული მოჩანდა.

— ფრინველთა კუნძულზე!  
პატარა ფაუსტომ ტაში შემოჰკრა. — ჩვენ მას ფრინველთა კუნძულზე დავმალავდით.

— მერედა, სად დაიწყებდნენ ძებნას მებადურები პირველად? — იკითხა პაოლამ. ფაუსტოს გაცეინა. — სად დაიწყებდნენ და ფრინველთა კუნძულზე.

— ამიტომაცა ხარ სულელი! — მრისხანედ გადახედა პაოლამ. — მე იმას ციცაბო კლდეებში დავმალავდი.

ციცაბო კლდეები სან მარტინოს სამხრეთით, ერთი საათის სავალზე მდებარეობდა. სანაპიროდან მხოლოდ ერთი გზა მიდიოდა ამ კლდეებში მდებარე გამოქვაბულებისა და მღვიმეებისაკენ, მაგრამ სან მარტინოელმა ეშმაკუნებმა ერთი სახიფათო საცალფეხო ბილიკიც იცოდნენ, ამ ციცაბო კლდეებზე რომ გადიოდა. რამდენჯერ დაუჭერიათ ხელით იმ მღვიმეებში რვაფეხები და კიბორჩხალები.

პატარა ფაუსტოს უჭირდა ამ ბილიკზე სიარული, ჩეზარე და ჯიანი ესმარებოდნენ, მერე კი მუხლებამდე წყალში ჩადგნენ და გულისყურით დაუწყეს დათვალიერება კლდეების ჩამოზავებულ ნაშალს. ტალღები გრუხუნითა და ღრიალით ეხეთქებოდა კლდეებს. ცივ ხმაზე ჩხალოდა წერო. ბავშვები გალურსულები იდგნენ. ჩეზარე დაიხარა და მღვიმეში ჩაცოცდა, სადაც მათ კიბორჩხალების ძველი საჭერი ბადე ჰქონდათ დამალული. მღვიმეში ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითხ ვერ მიიტანდი, მაგრამ მალე შეეჩვია ამ სიბნელეს. ჩეზარეს სუნთქვა შეეკრა. მღვიმეში, ზღვის ტალღების მიყუჩებულ შრიალში წყნარად ირწოვოდა ნავი.

— პაოლა, — წაიჩურჩულა მან, — მოტორიანი ნავი.

პაოლამ შარვლის ჯიბიდან ასანთის კოლოფი ამოიღო და გაჰკრა. ასანთის მკრთალ შუქზე ნავამდე მივიდნენ. ჯიანიმ ცალი სანდალი იპოვნა ნავში. ფაუსტომ მაშინვე ფეხი წაყო.

— ეშმაკმა დალახვროს, დიდი მაქვს, — თქვა სინანულით. პაოლამ ხელისგული ააფარა პირზე.

— ჩუმად, რა გაყვირებს! დამნაშავეს დიდი ყურები აქვს!

ბავშვები უფრო ღრმად გაცოცდნენ მღვიმეში და ეძებდნენ პატარა ანტონიოს, მაგრამ კვალიც არსად ჩანდა.

„დალახვროს ეშმაკმა ბავშვების მომტაცებელთა თავი“ — ჩურჩულებდა დაქანცული პატარა ფაუსტო და კლდის ნა-

შალ ქვეებს ზღვაში ისროდა, და უცებ გასროლილ ქვას რომ მზერა გააყოლა თვალი მოჰკრა უცხო მამაკაცს. ის კლდის პირზე იჯდა და ზღვას გაჰყურებდა.

— დალახვროს ეშმაკმა! — ჩურჩულებდა ფაუსტო. — ახლავე დაუძახებ პინპინელის. მგონი ეს კაცი მართლაც დაკარგულ ანტონიოს სდარაჯობს. მერე ფაუსტომ ისიც დაინახა, რომ მამაკაცს გვერდით ერთი პატარა ბიჭი მიუჯდა. ფაუსტო შემოფოთებული ჩამოცოცდა კლდიდან, პაოლამ ხელი დაუქნია. ასევე უსიტყვოდ მოიხმო ჩეზარე და ჯიანიც. მათ თვალწინ უცხო მამაკაცი და პატარა ანტონიო ისხდნენ.

— ძალიან უბრალო საქმეა! — ჩურჩულებდა ჩეზარე. — თავს დავესხათ ბანდიტებს და პატარა ანტონიო მოვიტაცოთ.

პაოლამ შუბლი შეიკრა, — ტყუილად როდი ამბობენ, ზოგს ბზე უყრია თავში! ბანდიტებს რომ პისტოლეტი აქვთ, დაგავიწყდა?

— ეშმაკმა დალახვროს, ბანდიტებს ყოველთვის აქვთ პისტოლეტი, — ჩაიბუტბუტა პატარა ფაუსტომ. ბავშვები ჩაფიქრდნენ.

— მე მგონი ასე აჯობებს, — რაღაც მოიფიქრა პაოლამ და წაუჩურჩულა ბავშვებს. ისინი დაეთანხმნენ. ჩეზარე ფრთხილად გაცოცდა მღვიმისაკენ. პაოლა, ჯიანი და პატარა ფაუსტო სულგანაბუნნი იწვნენ კლდეზე და უთვალთვალდნენ უცნობ მამაკაცს. უცებ მოტორი ათუხთუხდა. მამაკაცი ზეწამოიჭრა, ზღვისკენ გაიქცა და წყალში შეტოპა. პატარა მღვიმიდან გამოტივტივებული ცარიელი ნავი ზღვის შუაგულისაკენ გაცურდა. მამაკაცი უფრო ღრმად შეჰყვა წყალში, მაგრამ მოტორიანი ნავი სწრაფად მიიწვიდა წინ.

პაოლა და ჯიანი კლდოვანი ბილიკით პატარა ანტონიოსაკენ გაცოცდნენ. ანტონიო ცქმუტავდა, თითებს იკვნიტდა. ჯიანიმ მხარზე შემოსისვა და ფაუსტოსაკენ წამოვიდა. პაოლა გზას მიიკვლევდა.

ბავშვებმა ზღვას გახედეს, ნავი გაშმაგებით ეხეთქებოდა კლდეებს. მალე კიდევ დაიმსხვრა და ჩაიძირა. უცხო მამაკაცმა ნაპირზე გამოტოპა და გამოქვაბულში დაბრუნდა.

შუადღის მზე თავზე წამოსდგომოდა ზღვას. სან მარტინოელმა ეშმაკუნებმა

მებადურ კაზოტის პატარა ანტონიო მიჰგვარეს. გარშემოხვეული ხალხი ცნობისმოყვარეობით უსმენდა ბავშვებს, რომლებიც უცნობი მამაკაცის ამბავს ყვებოდნენ.

სანაპიროზე ყვავები შემზარავად ჩხაოდნენ. სან მარტინოელმა მებადურებმა თავი მოუყარეს ნავებს და ციცაბო კლდეებისაკენ გაცურეს. მერე კი, როცა უკან გამობრუნდნენ, კაზოტის ნავში დატყვევებული უცხო მამაკაცი ეჯდა. სან მარტინოელები ნაპირზე გამოიფინენ. პატარა ფაუსტომ ფეხებში მიაფურთხა ტყვეს და მიაძახა: — ეშმაკაც წაუღიხარ, შე ბავშვების მტაცებელი!

აღშფოთებულები იყვნენ სან მარტინოელები! ნაპირისაკენ ნელ-ნელა მოგუბუნებდა დიდი, ყვითელი სატვირთო ავტომობილი, კედელივით აღიმართნენ მდუმარე სან მარტინოელები, ავტომობილი შეჩერდა, კაბინიდან პადრონე გადმოვიდა.

— სად არის დაჭერილი თევზი? — პირქუშად იკითხა მან.

მებადურებმა დატყვევებული მამაკაცი წაუგდეს წინ.

— აი, ჩვენი დაჭერილი! — დაიყვირა კაზოტმა.

მძინვარების ალმა გადაჰკრა პადრონეს, მაგრამ მებადურები მუქარითა და ლანძღვით უახლოვდებოდნენ მას. პადრონემ დატყვევებული კაცი ავტომობილში შეაგდო, მოტორი აგუბუნდა და ავტომანქანამ ქალაქისკენ აიღო გეზი.

მებადურები იცინოდნენ. პაოლამ ანტონიოს მკლავზე მოჰკიდა ხელი და თქვა: — დღეიდან ანტონიო სან მარტინოელ ეშმაკუნებს ეკუთვნის! მორჩა და გათავდა!

— პაოლა ჰკუიდან შეიშალა — დაიძახა ჩეზარემ, ახლა ის ყველა პატარას ჩვენს შტაბში მოუყრის თავს.

პატარა ფაუსტომ ჩეზარეს მხარი წაჰკრა და თქვა:

— ეშმაკმა წაიღოს შენი თავი! პაოლა გენიოსი გოგონაა, კარგად დაფიქრდი, გინდა რომ, ანტონიო კიდევ მოიტაცონ?

ბავშვებმა ამოხვნეშეს.

სან მარტინოელი ეშმაკუნები თავიანთი შტაბისაკენ გაემართნენ. თევზი ჰქონდათ შესაწავი. მათ შორის მამყად მიაბიჯებდა პატარა ანტონიო.



რღობაში \* ხარდინი პეტერბურგში ცხოვრობდა და ოსტატებსაც ხშირად ხვდებოდა. მან ორჯერ თვით ჩიგორინიც კი დაამარცხა, ხოლო ერთხელ — საერთაშორისო ოსტატი ს. ალაპინი. ეს პარტიები ჩიგორინმა თავის საჭადრაკო ჟურნალში გამოაქვეყნა (1877 წ.).

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ანდრეი ხარდინმა სამოღვაწეო სარბიელად მშობლიური სამარა აირჩია. აქ დაიწყო მან ნაფიც ვეჟილად მუშაობა. თავისუფალ დროს მთლიანად ჭადრაკს უთმობდა: თამაშობდა, თეორიულ წერილებს წერდა, გამოჩენილ მოთამაშეთა პარტიებს აანალიზებდა. მაგრამ ყველაზე მეტად გატაცებული იყო მიწერ-მოწერითს ტურნირებში მონაწილეობით. ამ შეჯიბრებებში მან თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. საქმარისია ითქვას, რომ ორჯერ მოუგო

რეობა და თქვა: „უყურე, რა ეშმაკი მოჭადრაკე ყოფილა!“

სამწუხაროდ, ამ პარტიის ჩანაწერი არ შემონახულა. ცნობილია, რომ ვლადიმერ ილიას ძემ იგი წააგო.

1889-1890 წლის ზამთარში ულიანოვები სამარაში ცხოვრობდნენ. ვლადიმერ ილიას ძემ აქ პირადად გაიცნო ანდრეი ხარდინი და მოიხიბლა ამ კეთილი კაცით. მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ლენინს უყვარდა მასთან ყოფნა: იქ მუდამ ხვდებოდა მოჭადრაკეებს.

ერთხელ ანდრეი ნიკოლოზის ძემ ტურნირიც გამართა. სათამაშოდ ათამდე მოჭადრაკე მოიწვია, მათ შორის ვლადიმერ ილიას ძეც. ყველა მოთამაშე, რა თქმა უნდა, ერთი ძალია არ იყო. ძალების გათანაბრების მიზნით,

თანხი  
ბიორბაძე

# ლენინი და ჭადრაკი

1888-1889 წ. ზამთარში, როცა ულიანოვების ოჯახი ყაზანში ცხოვრობდა, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ძალიან გაიტაცა ჭადრაკმა. იგი შინაურებთან პაექრობით არ კმაყოფილდებოდა, ბიძაშვილთან ერთად ხშირად აკითხავდა ყაზანის საჭადრაკო კლუბს.

— ვალოდია, ძალიან გაუტაცინხარ ჭადრაკს. კარგადაც თამაშობ. მოდი ღირსეულ მეტოქეს შეგახვედრებ, — უთხრა ერთხელ ვლადიმერ ილიას ძეს მისმა ახლო ნათესავმა მარკ ელიზაროვმა, რომელიც თვითონაც ძლიერი მოჭადრაკე იყო.

— ვის შემახვედრებ?

— ჩემს კარგ ნაცნობს — სამარის ნაფიც ვეჟილს და ძლიერ მოჭადრაკეს ანდრეი ნიკოლოზის ძე ხარდინს. პარტიას მიწერ-მოწერით ითამაშებთ.

— კეთილი. ეს საინტერესოა, — მოიწონა ვლადიმერ ილიას ძემ.

მარკ ელიზაროვმა ხარდინს წერილი მისწერა.

ანდრეი ხარდინს კარგად იცნობდა მაშინდელი საჭადრაკო რუსეთი. გენიალურმა რუსმა მოჭადრაკემ მ. ჩიგორინმა იგი „ცნობილ უძლიერეს მოთამაშედ“ დაახასიათა. ახალგაზ-

რუსეთის ცნობილ მოჭადრაკეს ე. შიფერსს.

უადრესად მოკრძალებული და ურადლებიანი ანდრეი ხარდინი უყოყმანოდ დათანხმდა ეთამაშნა უცნობ ახალგაზრდა ყაზანელ მოჭადრაკესთან.

ვლადიმერ ილიას ძესა და ხარდინს შორის გამართულმა თამაშმა ულიანოვის ოჯახში ყველა დააინტერესა. სვლები ფოსტით, ღია ბარათებით მიდი-მოდიოდა.

— ერთი თავისი სვლის შემდეგ, — იხსენებს ლენინის უმცროსი ძმა დიმიტრი ილიას ძე, — საპასუხო ბარათის მლოლოდინში ვლადიმერ ილიას ძემ რამდენჯერმე გააწყო ჭადრაკი და თქვა: „საინტერესოა ახლა როგორ მოიქცევა იგი, ამ მდგომარეობას როგორ დააღწევს თავს. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვპოულობ დამაკმაყოფილებელ პასუხს“. როგორც იქნა, პასუხიც მოვიდა. დაუყოვნებლივ გავაწყეთ ჭადრაკი. ხარდინის სვლა უაზრო მომჩივნა. პირველად ვლადიმერ ილიას ძეც გაკვირვებული იყო, მაგრამ მალე გაიასრა მდგომარ-

ძლიერები სუსტებს წინდაწინ რომელიმე ფიგურას აძლევდნენ. ხარდინის შემდეგ უძლიერესებად ვლადიმერ ილიას ძე და კიდევ ერთი მოთამაშე იყვნენ აღიარებული. ეს ტურნირი ვლადიმერ ილიას ძის გამარჯვებით დამთავრდა.

ლენინი და ხარდინი მას შემდეგ კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რაც ვლადიმერ ილიას ძემ, პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის მთლიანი კურსის ექსტერნად და ბრწყინვალედ ჩაბარების შემდეგ, სამარაში ხარდინის, როგორც ნაფიც ვეჟილის, თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. ახლა მათ უკვე საერთო სასამართლო საქმეებიც აკავშირებდათ.

ვლადიმერ ილიას ძეს, თავისი ბრწყინვალე ნიჭისა და შრომისმოყვარეობის მეოხებით, შეეძლო ღიდი მოჭადრაკე გამხდარიყო, მაგრამ მას სერიოზულად არასოდეს უფიქრია ამაზე, რადგან ეს თამაში მხოლოდ კარგ გონებრივ გართობად მიაჩნდა.

# სტუდია

1938 წლის დეკემბერში მოხდა მოვლენა, რომელმაც კაცობრიობის ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა — მეცნიერებმა ურანის ატომის ბირთვი გახლიჩეს. გამოიჩვენა, რომ გახლიჩისას უზარმაზარი რაოდენობის ენერგია წარმოიქმნება.

თავიდან იმ ფიზიკოსებმაც კი, რომლებმაც იგი აღმოაჩინეს, არ იცოდნენ ჰქონდა მას რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა, თუ მხოლოდ მეცნიერებისათვის იყო საინტერესო. შეიძლება თუ არა ატომის გახლიჩისას წარმოქმნილი ენერგიის სამუშაოდ გამოყენება, იგი ხომ ერთბაშად, წამიერად გამოიყოფა! ამიტომაც ეგონათ შეუძლებელი მისი ისევე გამოყენება, როგორც იყენებენ ტურბინაში განუწყვეტლოვ შემავალ ორთქლსა თუ სადენში მუდმივად გამავალ ელექტროენერგიას.

მათი აზრით, ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლიდა, ვიდრე შეძლებდნენ ამ აღმოჩენიდან ტექნიკური დასკვნის გამოტანას — ჩაეყენებინათ ატომგულის ენერგია ხალხის სამსახურში.

ხალხის სამსახურში? შორსმჭვრეტელი ფიზიკოსები მალე მიხვდნენ იმას, რაც ჯერ კიდევ ვერ შეეგზო მსოფლიოს: სანამ ატომგულის ენერგიის დამორჩილებას მოახერხებდნენ, იგი შეეძლოთ გამოეყენებინათ როგორც ნგრევის მძლავრი საშუალება. ერთბაშად წარმოქმნილი ენერგია სამუშაოდ გამოუსადეგარია, მაგრამ აფეთქებისათვის ნამდვილად გამოდგება.

1939 წელს გერმანელმა ფაშისტებმა ომი გააჩაღეს. მთელ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ესმოდა, რა უბედურებაც ემუქრებოდა ხალხებს: ფაშისტები უსათუოდ ეცდებოდნენ შიგაატომური ენერგია საშინელი იარაღის შესაქმნელად გამოეყენებინათ. შესძლებდნენ თუ ვერა ამას, ეს არავის შეეძლო დანამდვილებით სცოდნოდა. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, თითქმის ნახევარი საუკუნე იქნება საჭირო, ვიდრე პრაქტიკულად შესძლებდნენ შიგაატომური ენერგიის მრისხანე იარაღად გამოყენებას. ზოგნი ამ დროს ორიოდ ათწლეულით საზღვრავდნენ. მაგრამ ზოგიერთი ფიზიკოსი იმასაც ფიქრობდა, რომ ეს გაცილებით ჩქარა, უახლოეს წლებშიც იყო შესაძლებელი. სწორედ ისინი შიშობდნენ, ფაშისტებს ატომური ბომბის დამზადება არ მოეწყოთ.

ფაშისტების წინააღმდეგ მემომარ ქვეყნებს მხოლოდ ერთი გამოსავალი ჰქონდათ — დაუყოვნებლივ ესინჯათ თვითონვე ატომური იარაღის შექმნა, დაესწროთ ფაშისტებისათვის. როდესაც გაიგებდნენ, რომ ატომური ბომბი მართლ მათ არ გააჩნდათ, ფაშისტები, შესაძლოა, ვეღარ გაბედვდნენ მის გამოყენებას.

იმ დროს ამერიკაში ბევრი მეცნიერი ცხოვრობდა, რომლებიც ფაშისტურ რეჟიმს გაექცნენ. მათ შორის იყვნენ ფიზიკოსებიც, ატომის ბირთვის გახლიჩაზე რომ მუშაობდნენ. სწორედ მათ ხვდათ წილად ატომური ბომბის დამამზადებელი „მანქანის“ გამოგონება.

საშინელი

ქაღალდი

ამ შემთხვევაში არ გამოდგებოდა შრომის ჩვეულებრივი განაწილება, რომლის დროსაც მეცნიერები გამოგონებლებს თავიანთ აღმოჩენას აწვდიან, გამომგონებლები კი ამ აღმოჩენას ახალი მანქანის შესაქმნელად იყენებენ. იმიტომ არ გამოდგებოდა, რომ რეაქტორის აგება, რომელშიც ურანის ატომის ბირთვები უნდა დაეხლიჩათ, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული ამოცანა იყო. ატომგულის რეაქტორის შექმნის ტექნიკური ხერხის პოვნა მხოლოდ რთული მეცნიერული გამოკვლევებისა და ცდების ნიადაგზე იყო შესაძლებელი.

ეს კი იოლი როდი გახლდათ. ფიზიკოსები ზედიზედ სძლევდნენ უძნელეს დაბრკოლებებს, მაგრამ იმის თქმა მაინც არ შეეძლოთ, მიაღწევდნენ თუ ვერა წარმატებას, ან თუ მიაღწევდნენ, — რამდენ ხანში.

ამერიკაში პირველი რეაქტორის აგებას იტალიელი ფიზიკოსი ენრიკო ფერმი ხელმძღვანელობდა.

ატომის ბირთვი რომ გაიხლიჩოს, იგი ნეიტრონებით, ე. ი. იმ ნაწილაკებით უნდა „დაიბომბოს“, რომლებსაც ელექტრომუხტი არ გააჩნია.

ნეიტრონები კოსმოსური სიჩქარით მოძრაობენ (ათი ათასი კილომეტრი წამში) და... არ ხვდებიან ურანის

ატომგულში. იმისათვის, რომ ნეიტრონებმა ატომგულში შეაღწიონ, საჭიროა ხელოვნურად შევანელოთ მათი მოძრაობის სიჩქარე (ლაპარაკია მაშინდელ დროზე, თორემ მოგვიანებით მეცნიერებმა „ჩქარი“ ნეიტრონებითაც შესძლეს ატომის ბირთვის გახლეჩა). იმ ბარიერის პოვნაკი, რომელიც ურანისაკენ მჭროლავი ნეიტრონების მოძრაობას შეანელებდა, ერთ-ერთი უძნელესი ამოცანა იყო.

თანამედროვე ფიზიკა იმდენად რთულია, რომ მეცნიერები თითქოსდა ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთნი საწერ მაგიდას უსხედან და ჯერ კიდევ შეუსწავლელ მოვლენათა თეორიას ამუშავებენ; მეორენი ლაბორატორიებში მუშაობენ — თეორეტიკოსების ვარაუდებს ექსპერიმენტებით ამოწმებენ და აღმოაჩენენ ახალ მოვლენებს, რომლებსაც თეორიული ახსნა სჭირდება.

ენრიკო ფერმის იშვიათი უნარი აღმოაჩნდა — ისეთივე ნიჭიერი თეორეტიკოსი იყო, როგორიც ექსპერიმენტატორი. შესანიშნავი გონება და მარჯვე ხელი ჰქონდა. თანაც, ძალიან სწრაფად მუშაობდა. ლაბორატორიაში ფერმი ურთულეს ცდებს ატარებდა, მერე საწერ მაგიდას მიუჯდებოდა და თავის დაკვირვებას განმარტავდა; სახელოსნოშიც თითონვე აკეთებდა ხელსაწყობებს, რომლებიც ახალი დაკვირვებებისათვის იყო საჭირო.

პირველი ბირთვული რეაქტორის შემქმნელებმა შესძლეს ეპოვნათ ნეიტრონების სიჩქარის შემნელებელი გრაფიტის ისეთი სქელი ფენა, რომელშიც ურანის ღეროებს

ათავსებდნენ. მაგრამ ეს არ ემაროდა: უნდა მიეღწიათ იმისათვის, რომ ატომურ ქვაბში „ჯაჭვური რეაქცია“ წარმოქმნილიყო. რას ნიშნავს „ჯაჭვური რეაქცია“? როდესაც ნეიტრონი გრაფიტის ფენაში გაივლის და ურანის ატომგულს გახლეჩს, „დამსხვრეული“ ბირთვიდან გამოცვივა გათავისუფლებული ნეიტრონები, რომლებიც ატომის ბირთვში შედიან. საჭირო ხდება მათი მოძრაობის შენელება, რათა მივალწიოთ იმას, რომ, თავის მხრივ, ისინიც ხლეჩდნენ ურანის სხვა ატომებს. აი, სწორედ მაშინ წარმოიქმნება უწყვეტი ანუ ჯაჭვური რეაქცია.

ურთულესი გაანგარიშებებითა და ცდებით მეცნიერებს ისე უნდა განესაზღვრათ რეაქტორში მოთავსებული ურანის რაოდენობა, რომ ჯაჭვური რეაქცია დაწყებულიყო; გაანგარიშებითა და ცდებით უნდა განესაზღვრათ გრაფიტის ფენებში ურანის ღეროების ზუსტი განლაგებაც. ამავ დროს, აუცილებელი იყო უამრავი ხელსაწყოს გამოგონება, რომლებითაც რეაქტორის მუშაობა უნდა ემართათ.

ასე გამოირკვა, რომ ჩვენი საუკუნის უდიდესი საქმის ფრთაშესხმაში — შიგაატომური ენერჯის გათავისუფლებაში — თეორეტიკოსების შრომა გამომგონებელთა მუშაობას უნდა შერწყმოდა. მეცნიერები თვითონ ხდებოდნენ გამომგონებლები.

ატომგულის რეაქტორი ამერიკაში 1942 წელს ამუშავდა — ურანის ბირთვის გახლეჩის პირველი ლაბორატორიული ცდებიდან სამი წლის შემდეგ. ატომური ბომბის დამზადება სწორედ ამ რეაქტორმა გახადა შესაძლებელი.

ომი ისე დამთავრდა, რომ ფაშისტებს არ ეღიროსათ ატომური რეაქტორის აგება, თუმცა ძალიან ჩქარობდნენ. ატომური ბომბის ერთადერთი მფლობელი ამერიკა აღმოჩნდა.

თქვენ იცით, რაც მოჰყვა ამას. ამერიკელებმა ატომური ბომბები ჩამოაგდეს იაპონიის ქალაქებში: ხიროსიმასა და ნაგასაკიში. უამრავი ადამიანი მოსპეს, ოღონდ, ჯარი კი არა, მშვიდობიანი მოსახლეობა, და, თანაც ეს არც იყო აუცილებელი: იმ დროისათვის იაპონია უკვე დამარცხებული იყო.

ბევრი ფიზიკოსი-ანტიფაშისტისათვის, რომლებიც ატომური რეაქტორის შექმნაზე მუშაობდნენ, ხიროსიმის ბედი ტრაგიკული გახდა. იათ ხომ იმიტომ მისცეს ამერიკას ატომური ბომბი, რომ თავიდან აეცილებინათ ფაშისტების მიერ ატომური იარაღის გამოყენების საფრთხე. მაგრამ ფაშისტები მანამდე შემუსრეს, ვიდრე ატომგულის ენერჯის დაუფლებოდნენ. საბჭოთა კავშირმა და მისმა მოკავშირეებმა ფაშისტები ატომური იარაღის გამოუყენებლადაც გაანადგურეს.

აფეთქება ხიროსიმაში ამერიკის მმართველთ უკვე მოგებული ომის მოსაგებად კი არ სჭირდებოდათ, არამედ პოლიტიკური მიზნებისათვის, რასაც სულაც



არ თანაუგრძობდა ატომური იარაღის შემქმნელი ფიზიკოსების უმრავლესობა.

ამერიკის მმართველებს სურდათ შეეშინებინათ მთელი მსოფლიო, ეჩვენებინათ, რომ ხელთა აქვთ იარაღი, რომელიც მათ წინააღმდეგ ბრძოლას შეუძლებელს ხდის. აქედან გამომდინარე მსოფლიო, რათა მას მორჩილად შეესრულებინა ამერიკის ნება-სურვილი — აი რა უნდა გაეკეთებინა ხიროსიმაზე სასტიკ თავდასხმას.

ამერიკელთა ანგარიშით, საბჭოთა კავშირი ათ-თხუთმეტ წელიწადზე აღრე ვერაფრით ვერ შესძლებდა ატომგულის რეაქტორის აგებას. სინამდვილეში კი ატომური რეაქტორების აგება მაშინ უკვე მთავრდებოდა ჩვენში.

მაგრამ აი რა უმნიშვნელოვანესი თავისებურება ჰქონდა საბჭოთა მეცნიერების მუშაობას: ვიდრე ამერიკაში ატომურ ბომბზე ფიქრით იტყვდნენ თავს, ჩვენ, საჭიროებისდა მიხედვით, ეს იარაღიც მოვიმარაგეთ და უმაღლესი შედეგებით მუშაობას ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოსაყენებლად და ამ მხრივ საგრძნობლად გავუსწარიტ ამერიკას.

ატომური ბომბის აფეთქების დროს უზარმაზარი რაოდენობის სითბო გამოიყოფა. ჰაერი ისე ხურდება, რომ ირგვლივ, რამდენიმე კილომეტრზე, ყოველი ცოცხალი არსება იღუპება. ასეთი „სითბო“ მხოლოდ მოსპობა-განადგურებისათვის არის გამოსადეგი. საბჭოთა მეცნიერებს კი ისეთი ზომიერი სითბოს მიღება სჭირდებოდათ, რომელიც, მოსასპობად კი არა, სამუშაოდ, რაიმეს შესაქმნელად გამოადგებოდა.

ეს ამოცანა მსოფლიოში პირველად საბჭოთა მეცნიერებმა გადაჭრეს, როდესაც ატომური ელექტროსადგურები ააგეს. იგი 1954 წლის 27 ივნისს ამუშავდა.

ააგეს რეაქტორი, მასში გრაფიტის „ქუჩაში“ გამოხვეული ურანის ას ოცდარვა ლერო მოათავსეს, ურანის ატომგულები ნეიტრონებით დაბომბეს და ჯაჭვური რეაქცია აღძრეს. ატომების გახლეჩას ურანის ლეროების გახურება მოსდევს. სითბოს ნთქავს წყალი. რომელიც მიღებით შედის რეაქტორში. ეს სითბო ორთქლის წარმოსაქმნელად გამოიყენება. ორთქლი აბრუნებს ტურბინის ლაპატებს, ტურბინი კი ამოძრავებს გენერატორს, რომელიც გამოიმუშავებს ელექტრულ დენს.

მსოფლიოში პირველი ელექტროსადგურის ეს დენი კოლმეურნეობებსა და ქალაქებში მიდის. „სათბობის“ — რადიოაქტიური ურანის — მთელი ხარჯი დღელამეში სულ ოცდაათი გრამია. ნახშირი კი, ამავე რაოდენობის დენის მისაღებად, ას ტონაზე ნაკლები არ დაგვჭირდებოდა, ე. ი. სამ მილიონჯერ მეტი.

რეაქტორის აქტიური უბანი, სადაც ურანის ატომგულების ხლეჩა ხდება, მცირეა. ეს არის გრაფიტის ბლოკების ცილინდრი, რომლის სიმაღლე 1,7 მეტრია, დიამეტრი — 1,5 მეტრი. მთლიანად კი, ატომური ელექტროსადგური დიდ ნაგებობაა.

რეაქტორის მართვისათვის საჭირო სადგომების გარდა, რადიოაქტიური ნაწილაკებისაგან საიმედო დამცველიც არის საჭირო, რადგან ეს ნაწილაკები ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად საშიშია. საჭიროა მავნე გამოსხივება რეაქტორის ფარგლებს არ გასცდეს, ეს კი ადვილი არ არის — ის სქელ კედლებშიც კი ატანს. ასე რომ, საჭირო ხდება სხვადასხვა მასალისაგან რამდენიმე კედლის ამოშენება. პირველი კედელი გრაფიტისაა, მეორე — ფოლადის ფილებისა, მესამე კედელი ერთმეტრიანი წყლის ფენაა, მეოთხე — სამმეტრიანი ბეტონის კედელია. თვითონ რეაქტორს თუჯის სახურავი აქვს. ატომური

მური ელექტროსადგურის სადგომებიც ბეტონის სქელი კედლებით არის ერთმანეთისაგან გამოჯნული და სპეციალური ხელსაწყოები გამოუდგებიან ამოწმებენ რადიოაქტიური ნაწილაკებით ჰაერის გამტვერებლობას.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ უკვე გამოყენებული ურანის ლეროები სადლა წავიღოთ? ისინი ხომ ძალზე საშიშია, რადგან კიდევ დიდხანს გამოასხივებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნაწილაკებს. ამ ლეროებს მექანიზმების საშუალებით სცვლიან. მექანიზმებს ურანის ლერო ღრმა აუზში გადააქვთ, სადაც იგი მთელ წელიწადს ბუჟდება, ვიდრე უსაფრთხო არ გახდება. ისევე, როგორც რეაქტორს, ამ მექანიზმებსაც შორიდან მართავენ.

გამომგონებლებს ბევრი მუშაობა დასჭირდათ: უნდა გამოგონებინათ ჯაჭვური რეაქციის ავტომატური რეგულირების ხელსაწყოები და ურანის ნაშუშევარი ლეროების შესაცვლელი მექანიზმები. მაგრამ ამით როდით მთავრდებოდა ყველაფერი — უნდა დაემზადებინათ საკონტროლო ხელსაწყოები, რომლებიც რეაქტორის მუშაობის ყოველ ცნობას მართვის დაბაზში გადასცემდა და ყველაფერს აცნობებდა, რაც რეაქტორში ხდება.

ეს ხელსაწყოები ყოველმხრივ სრულყოფილი უნდა ყოფილიყო — რაკი რეაქტორი ამუშავდებოდა, მას ხომ სარემონტოდ ახლოს ვეღარ მიეკარებოდი!

რეაქტორისა და მისი მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყოების გამოგონებისას ინჟინრები და მეცნიერები ერთობლივად მოქმედებდნენ. ტექნიკური ამოცანები განუყოფლად უკავშირდებოდა თეორიულ გამოკვლევებს — ერთიმეორეს ვერ დააცილებდით. უწინ არასოდეს ყოფილა ისეთი მჭიდრო თანამეგობრობა ტექნიკოსებსა და მეცნიერებს შორის, როგორც ეს ატომგულის რეაქტორების შექმნისას გამოვლინდა. მეცნიერები ეუფლებოდნენ ტექნიკურ ჩვევებს, გამოგონებლები და კონსტრუქტორები ხდებოდნენ, ინჟინრები კი ძირფესვიანად სწავლობდნენ თეორიულ ფიზიკას.

ამჟამად ატომგულის რეაქტორი — ეს არის ქვაბი, რომელიც ორთქლს აწვდის ტურბინას. ენერჯის მიღების ყველაზე თანამედროვე ხერხი (ატომის ბირთვის გახლეჩა) ამ ენერჯის გამოყენების ასევე თანამედროვე სრულყოფილ ხერხებს მოითხოვს.

რეაქტორი მეტ სითბოს მოგვცემს, ვიდრე ხუთსართულიანი სახლისოდენა ათობით ორთქლის ქვაბი, მაგრამ ერთი პირობით: რეაქტორიდან მთელი სითბო დაუყოვნებლივ უნდა „გამოვიყვანოთ“, თორემ იგი უმაღლეს გამოვა მწყობრიდან.

ხოლო იმისათვის, რომ სითბოს რაოდენობა რეაქტორის სწრაფად მოვაშოროთ, წყლის უზარმაზარი ნაკადია საჭირო. ამოდენა ნაკადის რეაქტორში გატარება შეუძლებელია, რადგან, როგორც უკვე იცით, რეაქტორის სამუშაო ზონა მცირეა.

მაშ რა გზა დაგვჩა? ან კი არის რაიმე გზა? არის და, თანაც, რამდენიმე; მაგრამ ყოველი მათგანი მეცნიერთა და გამოგონებელთა კვლავ დიდ, ერთობლივ შრომას მოითხოვს.

სითბოს მოშორებას, მაგალითად, წყლის გამოუყენებლად ვარაუდობენ. მაინც რით? ჰაერით? აირით? არა, ჰაერიცა და აირიც წყალზე მეტი იქნება საჭირო. აი, თხევადი ლითონი კი ნამდვილად მისწრება; ხოლო ლითონებიდან ყველას თხევადი ნატრიუმი სჯობს, რომელიც რვაჯერ გრადუსზე დულს.

რას იძლევა ეს? უზომოდ მცირდება იმ სითხის მოცულობა, რომელიც რეაქტორის სითბოს აცლის. წყალთან შედარებით თითქმის ოციათასჯერ ნაკლები თხევადი ნატრიუმი საჭირო, რადგან ნორმალური წნევის დროს ნატრიუმის დუდილის ტემპერატურა ძალიან მაღალია. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, მიღებში გამდინარე თხევადი ნატრიუმი ბევრად უფრო მეტ სითბოს შთანთქავს, ვიდრე წყალი. მაგრამ წყალი რომ თხევადი ლითონით შეიცვალოს, უამრავი სიძნელის გადალახვა საჭირო. რეაქტორი კი ისევე საორთქლე ქებად დარჩებოდა, ოღონდ უფრო ეკონომიური იქნებოდა, ვიდრე ახლა.

ატომური ენერჯის გამოყენების ნამდვილად ახალი ხერხი სულ სხვანაირი შეიძლება იყოს — სითბურ ენერჯიად კი არა, არამედ მისი პირდაპირ ელექტროენერჯიად გარდაქმნა. ამოცანა მეტად ძნელია, მაგრამ მეცნიერები მის გადაჭრასთან მეტად ახლოს დგანან. ჩვენში უკვე მუშაობს მცირე ზომის საცდელი რეაქტორი, რომელიც ატომგულის სითბურ ენერჯიას პირდაპირ ელექტროენერჯიად გარდაქმნის.

დენი, რომელსაც ატომური ელექტროსადგურები იძლევიან, ჯერჯერობით ძვირი ჯდება. თუმცა ეს დროებითი ამბავია. რაც უფრო მძლავრი იქნება სადგურები, მით უფრო იაფი დაჯდება დენი. იგი სულ იაფი გახდება, როდესაც შევძლებთ სასარგებლო მუშაობისათვის გამოვიყენოთ იმ სითბოს უდიდესი ნაწილი, რის მოცემაც სადგურს შეუძლია; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: როდესაც რეაქტორები სითბურ ენერჯიას პირდაპირ ელექტროენერჯიად გადააქცევენ.

ამ ამოცანის გადასაჭრელად უამრავი დრო გვაქვს — ასი წელიწადი! მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელ სისწრაფეს თუ ვიგულისხმებთ, ეს დიდი ვადაა.

რატომ მაინცდამაინც ასი და არა — ათი ან სამასი წელიწადი? მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ასი წლის შემდეგ გამოილევა ჩვეულებრივი საწვავის მარაგი, რომელსაც ბუნება გვაწვდის: ქვანახშირი, ნავთობი, საწვავი გაზი. აი მაშინ ძირითადი საწვავი ატომური ენერჯია გახდება.

საკითხავია, თვით ატომური საწვავი კი დიდხანს ეყოფა ადამიანებს? არც ღირს ამის ანგარიში, რადგან რეაქტორებში, რომლებიც ჩქარი ნეიტრონებით მუშაობენ, ერთი სასწაული ხდება.

იქნებ კიდევ გავიგონიათ, რომ ყველანაირი ურანისა კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ურანი-235-ის (ეს ციფრი მის ატომურ წონას გამოხატავს) ატომგულები ისლიჩება, ბუნებაში კი ურანი-235 იშვიათად არის — იგი თითქმის ასჯერ ნაკლებია იმ ურანზე, რომლის ატომური წონა 238-ია. ასეთი ურანის ატომგულები კი რეაქტორში არ ისლიჩება. აი სწორედ ურანი-238 ახდენს სასწაულს, როდესაც მის ატომგულს ჩქარი ნეიტრონებით ზომბავენ; იგი ახალ ელემენტად გარდაიქმნება, რომელიც ბუნებაში თითქმის არ არსებობს. ამ ელემენტს პლუტონიუმი უწოდეს. პლუტონიუმის ატომის ბირთვი კი ისევე კარგად იქლიჩება, როგორც ურანი-235-ის ატომის ბირთვები.

არჩვეულებრივი რამ ხდება: ატომური რეაქტორი იმაზე მეტ საწვავს წარმოქმნის, ვიდრე წვავს! იწვის ურანი-235 და, ამავე დროს, ურანი-238-დან ვიღებთ ბირთვული საწვავის ახალ მარაგს — პლუტონიუმს. ამიტომაც შემამფრთხილებელი არ არის ის ამბავი, რომ ურანი-

235-ის ბუნებრივი მარაგი დიდხანს ვერ გასტანს. რამდენიც უნდა იხარჯოს, კაცობრიობას ატომური საწვავი ათასწლობით ეყოფა.

მსოფლიო კი მას უხვად დაუწყებს ხარჯვას. ფანტასტიკური რომანის ავტორები კი არა, რომლებიც სულ ახლახანაც წერდნენ ამაზე, გამომგონებლები მუშაობენ ისეთ პროექტებზე, რომელთა ფრთაშესხმაც ბევრად შესცვლის ცხოვრების პირობებს ჩვენს პლანეტაზე.

უკვე აგებულია ატომური ხომალდები — ყინულმჭრელი და წყალქვეშა ნავები. მალე ატომური ტრანსპორტის სხვა სახეც გამოჩნდება — მეზობელ პლანეტებზე ატომური კოსმოსური ხომალდები გაფრინდებიან.

ატომური ენერჯია გაამტკნარებს განუსაზღვრელი რაოდენობის წყალს. და მაშინ უდაბნოებიც ამოისუნთქვენ, იქაურობაც მცენარეულობით დაიფარება და მასზე ბაღები და პლანტაციები გაშენდება. როდისღა მოხდება ეს? ასი წლის შემდეგ? არა, სულ ათიოდე წელიწადში. კასპისპირეთის მშრალ მიწებზე, სადაც ადამიანები შორიდან მოტანილ წყალს სვამენ, ხეხილის ბაღები აყვავდება და განოყივრებულ მიწას ტრაქტორები გადახნავენ.

შემდეგ კი ატომურ სამშენებლო კომბაინსაც ააგებენ, რომლის პროექტიც უკვე მუშავდება. მას შეეძლება ტაივანში გავლა, უვარგისი მცენარეულობის გაკაფვა და, ერთდროულად, შარაზე ასფალტის დაგებაც. ვაივლის ჭაობში, გათხრის არხებს და ამომშრალ ნაჭობბარს მწვანე მდელოები დაფარავს.

პოლარული წრის იქით, შორეულ ჩრდილოეთში, შესაძლებელი გახდება კურორტის გაშენება, ტროპიკული მცენარეულობით; იმ პატარა კუნძულზე თაკარა ზაფხული იქნება, გარშემო კი სუსხიანი ზამთარი ძველებურად იმკინვარებს.

იქნებ იფიქროთ, რომ ეს მაინც შორეული მომავლის საქმეა? არა. ერთი დიდი მეცნიერი, ატომური ენერჯის სპეციალისტი, ფიქრობს, რომ დღევანდელი ბავშვები შორეულ ჩრდილოეთში ტროპიკულ თაზისსაც მოესწრებიან და, შესაძლოა, — ატომური ენერჯის საშუალებით ხელოვნურად წარმოქმნილ ზღვის თბილ დინებასაც.

აი, რას გვბრძობს ჩქარნეიტრონებიანი რეაქტორი, რომელიც იმაზე მეტ ბირთვულ საწვავს დაამზადებს, რამდენსაც დაწვავს.

ბირთვული ენერჯის ათვისება ახლახან დაიწყო. მეცნიერები კი უკვე ათევენ ღამეებს ახალი, ათასჯერ უფრო რთული ამოცანის გადასაწყვეტად: ისინი ცდილობენ დაიმორჩილონ და ადამიანების სასარგებლოდ ამუშაონ თერმობირთვული რეაქცია, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ შემზარავი იარაღის — წყალბადის ბომბის შესაქმნელად არის გამოყენებული. ეს რეაქცია დედაიწაზე ასახავს იმ პროცესს, რომელიც განუწყვეტლოვ მიმდინარეობს მზესა და სხვა ვარსკვლავებზე. „მიმიე“ და „უმიმიესი“ წყალბადის (მათ უწოდებენ „დეიტერიუმსა“



და „ტრიტერიუმს“) ატომგულების ერთმანეთთან შეერთებით წარმოიქმნება სულ სხვა ნივთიერების — ჰელიუმის — ატომის ბირთვი. ამ დროს უდიდესი ენერგია თავისუფლდება. სითბო და სინათლე მზისა, რომელიც ათბობს და ანათებს ჩვენს პლანეტას, — თერმობირთვული რეაქციის შედეგია. ტემპერატურა, რომლის დროსაც ეს რეაქცია ხდება, ათეული მილიონი გრადუსით განისაზღვრება.

ისევე, როგორც ურანის ატომგულის გახლეჩას, ამ რეაქციასაც წამიერად ვახდენთ. წამიერ რეაქციას კი ვეებერთელა ძალის აფეთქება მოსდევს. სასარგებლო მუშაობისას მისი მოხმარება შეუძლებელია, მას მხოლოდ წყალბადის ბომბის დასამზადებლად იყენებენ. ხოლო თერმობირთვული რეაქციის მართვა, ან სხვანაირად რომ ვთქვათ ამ რეაქციის სიჩქარის მილიონჯერ შემცირება, წარმოუდგენლად ძნელია.

დღემდე დედამიწაზე ნივთიერების მხოლოდ სამნაირი მდგომარეობა ვიცოდით: მყარი, თხევადი და გაზობრივი. მილიონობით გრადუსი ტემპერატურის დროს გაუხშობებული აირი ნივთიერების მეოთხე მდგომარეობაში გადადის, რომელსაც პლაზმა ეწოდება. სწორედ პლაზმაშია შესაძლებელი წყალბადის ატომგულების შეერთება.

საკითხავია, რა მასალისაგან შეიძლება დავამზადოთ ჭურჭელი, რომლის კედლებიც მზის ტემპერატურას გაუძლებდა? ცხადია, ასეთი მასალა არ არსებობს. მაგრამ ადამიანის გონებას არა აქვს საზღვარი. მეცნიერებმა გამონახეს გამოსავალი. მათ გამოიგონეს... უხილავი ჭურჭელი. ეს ჭურჭელი — მაგნიტური ველებია, რომელთაც მძლავრი ელექტრომაგნიტები წარმოქმნიან. გაუხშობულ აირს ფოლადის მილში ელექტროდენით უზარმაზარ ტემპერატურამდე ახურებენ, რომლის დროსაც აირი პლაზმად გადაიქცევა. მძლავრი მაგნიტური ველები კი პლაზმას არ აძლევენ იმის საშუალებას, რომ მილის კედლებს შეეხოს და მილი უმაღავ აირად აქციოს.

მაგრამ პლაზმის წარმოქმნა ჯერჯერობით მხოლოდ წამის ერთ მემილიონედში ხერხდება. პლაზმა რომ უფრო მდგრადი გახდეს — ეს ისეთი ამოცანაა, რომელიც ასობით სხვა ამოცანას შეიცავს. ამათზე უფრო რთული ამოცანები თანამედროვე მეცნიერებსა და ტექნიკაში არც არის. ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებიან მეცნიერები ამ ამოცანათა გადაჭრას, მაგრამ, ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ მალე მიადწევენ დიდ მიზანს — შექმნიან თერმობირთვულ რეაქტორს, რომელიც საშუალოდ გაათავისუფლებს კაცობრიობას ენერჯის წყაროებზე ზრუნვისაგან.



ი. ნიჟიკი.  
თარგმნა ვიწო ზარნაძემ.  
მხატვარი ო. ჩხარტიშვილი.

# მეჩხე კოსნიცა...

მერაბმა ბანაკში ჩასვლის პირველ-სავე დღეს გადაწყვიტა ცურვის შემსწავლელ წრეში ჩაწერილიყო. „რა კარგია, — ფიქრობდა ბიჭუნა, — სულ მალე ლალად გავაბობ ტალღებს. თბილისში რომ ჩავალ, ყველას გავაკვირებ. ორთაჭალის ახალ საცურაო აუზში ტოლი არ მეყოლება. დადგენენ და მიყურონ ჩვენი ეზოს ბიჭებმა!“

მეორე დილას, ნასაუზმევს, ბეჟან მასწავლებელმა პიონერები ზღვის ნაპირისაკენ წაიყვანა. გახარებული მერაბი პირველ რიგში მიაბიჯებდა, ოცნებით ერთიმეორეზე უკეთესი სურათები ეხატებოდა: უკვე ხედავდა გოლიათ ტალღებს და ამ ტალღებში თავისუფლად მონაჯარდვ თავის-თავს...

რა კარგია, ოცნება სინამდვილედ რომ გადაიქცევა! მაგრამ აი, მასწავლებელმა ბავშვები წყალთან არც კი მიიყვანა, ჯერ სირბილში ავარჯიშა, შემდეგ — ხტომებში.

— ხვალ ორძელსა და დვირზე ვცდით ძალას. — თქვა მან. — მოცურავე კარგად გამოწრთობილი უნდა იყოს. შემდეგ კი ხმელეთზე შევუდგებით ცურვის წესების შესწავლას.

„ეს რა ყოფილა! — გაიფიქრა მერაბმა, — რაა ამდენი მზადება და ვარჯიში! ამასობაში ხომ ბანაკობაც დამთავრდება!.. მოსაწყენია!“

მეორე დღეს ჩვენი მერაბი უკვე ავიაპოლდელისტებს ამოუდგა გვერდით. „აი ეს კი ნამდვილი საქმეა, — ფიქრობდა იგი, — გააკეთებ მოდელს და შეიძლება მთელ რესპუბლიკაში, ან იქნებ მთელ ქვეყანაშიც კი გაით-


ქვა სახელი... როგორ გაუკვირდებათ სკოლაში, შეჯიბრებაზე პლანერის მოდელს რომ მივიტან! მანამდის კი არავის ვეტიყვი, ჩემს საუკეთესო მეგობრებს — გაიასა და რეზოსაც კი!

მაგრამ ყველაფერი ისე აეწყო, რომ გაიასა და რეზოს არაფერი ელოდათ გასაოცარი: მერაბს უკვე მეორე მეცადინეობის შემდეგ მოქნარება დააწყებინა. „რამდენი შრომა სჭირდება პლანერის გაკეთებას! მოსაწყენია!.. ამას არა სჯობს, მეთევზეთა წრეში ჩავეწერო? დაჯვლები წყლის პირას და დაველოდები, სანამ რომელიმე დიდი თევზი ანკვს არ მოვიკიდება; მე შენ ვეტიყვი, დიდი ჯაფა დამადგება!.. ამოვიყვან თევზს და ბანაკში ერთი ამბავი ატყდება: სად დაიჭირე, როგორ?..“

და მერაბმა თავი უკვე უჩვეულო ნადავლით ხელდამშვენებული წარმოიდგინა. ყველა აქებს, თვით ბანაკის უფროსიც, მერაბი კი დუმს, თან ეშმაკურად ეღიმიება: აი, ხედავთ, რა ყოჩაღი ვარო!

მაგრამ ორი დღის შემდეგ მერაბმა ახალი რამ „აღმოაჩინა“: მეთევზეთა არც თუ ისე საინტერესო საქმე ყოფილა. იჯექი და უცადე, სანამ რომელიმე პატარა ლიფსიტას ანკვსზე ჩამოკიდება მოესურვება! მთელი ორი დღე ერთხელაც არ შერხეულა მერაბის ანკვისი... თურმე ანკვისს გაწყობას თავისი წესები ჰქონია, ამასაც სწავლა უნდა; მერაბს კი დასვენების დროს არა და არ უნდოდა თავის შეწუხება.

„მოდი, მეტეოროლოგთა წრეში ჩავეწერები“, — გაიფიქრა მერაბმა და სიტყვა საქმედ აქცია. მეორე დღეს იგი უკვე ფლუგერისა და ნალექმზომის მაჩვენებლებს იწერდარვეულში. შემდეგ პაერისა და ნიადავის ტემპერატურაც ჩაინიშნა და... ისევ დაამთქნარა: „აბა რა არის, წერე და წერე ციფრები! რა განსხვავებაა, 20 გრადუსს დასწერ თუ 23-ს?.. აი, ხვალინდელი ამინდის გამოცნობა რომ შესძლო, ეს კი ნამდვილი ბიჭობა იქნება. მიხვალ ბანაკში და ხედავ,



ხვალისთვის ყველა სალაშქროდ ემზადება, ფუსფუსებენ, ერთ ამბავში არიან. შენ კი ეტყვი: „შეჩერდით, ტყუილუბრალოდ სწუხდებით, ხვალ დილიდანვე ნისლი და წვიმა იქნება“. მართლაც, ღამით ვარსკვლავებსა და მთვარეს შავი ღრუბელი დაფარავს, იქუხებს და იგრგვინებს.. აი მაშინ ყველა პატივისცემით შემოგხედავს, თორემ ეს რაა, — უჯღე და უყურო თერმომეტრებსა და ბურღუვანას!..“

ერთი სიტყვით, მერაბი აღარ უნახავთ მეტეოროლოგიურ სადგურში. მაგრამ საუზმის შემდეგ იგი უსაქმოდ არ დარჩენილა. არ გაგიკვირდეთ; იგი დრამატული წრის წევრებს მიჰყვებოდა. „პიესაში ვითამაშებ, კარგი იქნება!“ — ფიქრობდა ბიჭუნა და გონების თვალთ უკვან ხედავდა ღია ესტრადას. მთელი ბანაკი აქ არის მოსული, მშობლებიც, მოწვეული სტუმრებიც. ყველანი მქუხარე ტაშს უკრავენ ნორჩ მსახიობებს, განსაკუთრებით კი — მერაბს, იგი კულისებისაკენ მიდის, მაგრამ დარბაზი დედავს. „მერაბი! მერაბი!“ — ისმის ყოველი მხრიდან და მერაბიც ამაყი მზერით გამოდის სცენაზე. კვლავ გაისმის ტაში...

ფიქრიდან მასწავლებლის სიტყვებმა გამოარკვია:

— აი, შენი როლი, კარგად დაისწავლე!

მერაბმა ქალაღდის ფურცელს თვალი გადაავლო და გაოცდა:

როლი სულ პატარა იყო, სალაპარაკო ტექსტი ერთ ფურცელზე ეტეოდა. „არა, ეს საჩემო საქმე არ არის. ვისაც უნდა, იმან ითამაშოს, ესეც არ იყოს, დაჯექი ახლა და იზეპირე! მოსაწყენია! არა სჯობს ტყეში წავყვე პიონერებს?!.. იქნებ იშვიათი პეპელა დავიჭირო ან რაიმე მინერალი აღმოვაჩინო! მაშინ ხომ ყველა გამიცნობს, გაზეთებშიაც დაწერენ ჩემზე და ჩემს პორტრეტსაც დაბეჭდავენ“.

მაგრამ მერაბმა ტყეში ვერც რაიმე მინერალი აღმოაჩინა და არც საოცარი პეპელა მოხვედრილა მის ბადეში. მალე, სულ მალე მოსწყინდა. „მოსცლიათ ერთი, ამ ტყეში რას დაეხეტებიან!“ — გაივლო გულში.

ამის შემდეგ მერაბი ბანაკის ეზოდან არ გადის, ზის ხის ჩეროში, ამთქნარებს და წუხს: ჩვენს ბანაკში მოწყენილობააო...

**მერაბ ბახვაძე**

მხატვარი დიმიტრი ზარაფიშვილი



**სხვის ბუდეში**

ჩვენში გავრცელებული გუგული მძღვეარი ფრინველია, შემოდგომის დასასრულს, აცივებისას მიფრინავს სამხრეთის თბილ ქვეყნებში (აფრიკა, აზია და სხვა), იქ იზამთრებს და ჩვენთან გაზაფხულზე მოფრინდება.

გუგულს ერთი უცნაური ზნე სჭირს — ბუდეს არ იშენებს, კვერცხს სხვის ბუდეში დებს. როცა კვერცხიან ბუდეს მიაგნებს, იქიდან ჩუმად ერთ კვერცხს ამოიღებს ისე, რომ დედა ჩიტმა ვერ გაიგოს, შეჭამს ან გადააგდებს მას და შიგთავის კვერცხს ჩადებს (იხ. ფოტო. მეოთხე დიდი კვერცხი გუგულისა).

გუგულის კვერციდან ბარტყი უფრო ადრე იჩეკება, ვიდრე დედაჩიტის კვერცხებიდან, ბარტყი მალე იზრდება, დაახლოებით 20-23 დღის შემდეგ ტოვებს ბუდეს და ფრენას სწავლობს.

როსტომ ელანიძე.

ფოტო ა. არაბულიძე.



**ქ**

ოვანილო პერიგორნო დიდი მოგზაური გახლდათ. ერთხელ იგი ჩალის ქვეყანაში მოხვდა. იქ ძალიან აალებადი ხალხი ცხოვრობდა. საკმარისი იყო ასანთის ღერი გაგეკრათ, რომ იმ ქვეყნის მცხოვრებთ, პაწია ვულკანივით, იმწამსვე ცეცხლი და ბოლი ამოეფრქვიათ.

— რა ფიცხი ხასიათი აქვთ! — უყვირდა ჯოვანიონს.

მაგრამ მთელი კოცონი ერთ წუთში იწვოდა და ჩალის ხალხისაგან ერთი მუჭა ფერფლიღა რჩებოდა.

— ეს საჩემო ქვეყანა არ არის! — თქვა ჯოვანიონმ და იქაურობას გაეცალა.

ბევრი იარა თუ ცოტა, შაქრის ხალხის ქვეყანაში ამოყო თავი. ო, რა, ტკბილი ქვეყანა იყო, რა ნაზი ხასიათის ადამიანები იყვნენ! ცხვირი, ყურები და ენა ყველას შაქრისა ჰქონდა. სიტყვებს ხომ ნულარ იტყვიან! — ყველაზე ტკბილ კარამელზეც კი უფრო ტკბილი იყო. განცვიფრებულმა ჯოვანიონმ ერთ შაქრის კაცს ჰკითხა:

— ტვინში ცოტაოდენი მარილი მაინც არა გაქვთ?

— არა, არა, — უბასუხა მან, — ყველაფერი პირველხარისხოვანი შაქრისა გვაქვს.

— მაშინ არც ეს ქვეყანა ყოფილა საჩემო, — თქვა ჯოვანიონმ და იქიდანაც წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა, ყინულოვანი ხალხის ქვეყანაში მივიდა.

„აქ ნამდვილად მკაცრი და მტკიცე ადამიანები უნდა იყვნენ“, — გაიფიქრა ჯოვანიონმ.

ყინულის ხალხი გამჭვირვალე იყო. ჯოვანიონმ ამ ადამიანების თვალებში იოლად ჩაიხედა და დაინახა, რომ მათი აზრები ისე ცივი იყო, როგორც იანვრის ღამე. ხოლო გულად ყინულის ნატეხი ელოთ.

— თქვენ არავინ არ გიყვართ? — ჰკითხა ჯოვანიონმ.

— რა არის სიყვარული? — გაიკვირვეს მათ, — ყინულის ლექსიკონში ასეთი სიტყვა არ არის.

— არ მომწონს ეს ქვეყანა. ის, ვისაც არავინ არ უყვარს, თავისთავად მკვდარია, თუნდაც სიარული და ლაპრაკი შეეძლოს, — თქვა ჯოვანიონმ და ის მხარეც მიატოვა.

ბევრი იარა თუ ცოტა, ცვილის ხალხის ქვეყანას ეწვია. იქაური მცხოვრებნი ძალზე რბილი ადამიანები იყვნენ. ჯოვანიონი საუბრის დროს ერთ-ერთი მათგანის ცხვირს თითი შეახო. ცხვირის წვერი ბიჭუნას თითს დაჰყვა და მარჯვნივ გადაიზნიქა.

— უჟაცრაგად, — მოუბოდიშა ჯოვანიონი და ცხვირის წვერი წვიპურტით მარცხნივ მოუბრუნა.

ცვილის კაცს უქმაყოფილება არ გამოუთქვამს. მაშინ ჯოვანიონი ცხვირი მალლა აუწია.

— გმადლობთ, — უთხრა ცვილის კაცმა.

— რატომ არ მიუერჩები? — ჰკითხა გაოცებულმა ჯოვანიონი, — რა ადამიანი ხარ?

— ცვილისა ვარ.

— ჰო, მართალია, დამავიწყდა, — უთხრა ჯოვანიონი და გამოუშვდილობებლად გაუდგა თავის გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა, მინის ხალხის ქვეყანას მიადგა.

პირველივე შემხვლური ფრიად სიმბაითური და თავაზიანი ადამიანი აღმოჩნდა.

— გამარჯობა! — უთხრა ჯოვანიონი.

მინის კაცმა ხელი გაუწოდა. ჯოვანიონი მაგრად ჩამოართვა ხელი, მე-

გობრულად. უცებ „ტაცე“, „ტატუც“ გაისმა და უცნობის ხელი პაწაწინა ნამსხვრევებად იქცა.

— ძალიან ვწუხვარ... — დაიწყო ჯოვანიონი.

— არა უშვავს, — შეაწყვეტინა მინის კაცმა, — ახლავე მეშუშესთან წავალ და ხელს შემიკეთებს.

„ეს რა მყიფე ხალხი ყოფილა! — გაიფიქრა ჯოვანიონი. — არა მგონია, ამათ ფეხბურთის თამაში შეეძლოთ. არა, არც ეს არის საჩემო ქვეყანა!“

და იგი კვლავ გზას გაუდგა. რადგან, როგორც მოგეხსენებათ, მოგზაურობის დიდი მოყვარული იყო და არასოდეს არ იღლებოდა ახალ-ახალი ქვეყნების ნახვით.

ბევრი იარა თუ ცოტა, ახლასხვა ქვეყნის მიწაზე აღდგა ფეხი. გზაზე ბიჭუნა შემოხვდა.

— გამარჯობა! — მიესალმა ჯოვანიონი.

— გაგიმარჯოს! — მიუგო ბიჭუნამ და ხელი გაუწოდა.

ჯოვანიონმაც შეაგება ხელი, მაგრამ მასპინძელს ხელი არ დამსხვრევია.

— რა კარგია! უთხრა ჯოვანიონი, — ვიმედოვნებ, რომ მინისა არა ხარ.

— რა თქმა უნდა, არა.

— იქნებ ცვილისა ხარ? — უთხრა ჯოვანიონი და ხელი ბიჭუნას ცხვირს წაატანა.

— მე ყველასთან თავაზიანი ვარ, მაგრამ ნებას არ მოგცემ უხეშად მომექცე.

— ყინულისა ხარ?

— ვინც სიყვარულით მომექცევა მისთვის შექარი ვარ, მაგრამ შემძლია ძალზე მწარეც ვიყო.

— ჩალისა ხარ?

— არა, მაგრამ თუ ავენთები, მხოლოდ კეთილი საქმეებისათვის, და მაშინ ჩემი ცეცხლი არც ისე იოლად ქრება.

— მაშ პიონერი ყოფილხარ! — შესძახა აღტაცებით ჯოვანიონი.

— დიას, პიონერი გახლავარ! ეს პიონერის ქვეყანაა.

— მოხარული ვარ შენი გაცნობით. ძალიან მომწონს თქვენი ქვეყანა.

და მან დიდი ინტერესით შემოიარა ამ ქვეყნის ყველა კუთხე-კუნძული. ჯოვანიონი აქ ბევრი საინტერესო და სახალისო რამ ნახა, რომელსაც მერე ვიამბობთ.

თარგმან შ. აშირანაშვილმა.

მხატვარი  
ზურაბ ფორჩხიძე



გოვადლოვა  
უპირველეს ყოვლისა.

იტალიის ერთ-ერთი ქალაქის ვიწრო ქუჩიდან სირბილში შეჭიბრების მონაწილენი გამოვარდნენ და უჟაცრაიელ გზაზე გაქანდნენ. ფინიშამდე ორ კილომეტრზე ცოტა მეტი იყო დარჩენილი. ლიდერობდა ახალგაზრდა პოლიციელი ბენცო ბრუნი, რომელსაც მეთოქეები კარგა შორს ჩამოეტოვებინა. ბენცო თავს უკვე გამარჯვებულად თვლიდა და ვონების თვალთ ჩილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიალსაც კი ხედავდა, რომ უცებ ყვირილი მოესმა: მიშველეთო, დაინახა, რომ ვიდაც ბრგე ვაჟუკაი ქალს მისდევდა. ბრუნი მა-

შინვე მათ გაეცა, თუმცა ისინი სხვა გზით მირბოდნენ, დაეწია ბანდიტს და იქვე გაკოჭა. ახალგაზრდა პოლიციელს, ცხადია, რბენისათვის თავის შინებება მოუხდა და ფინიშისაკენ უკვე აუჩქარებლად, ნაღვლიანი სახით გაემართა: ვალი კი მოიხადა; მგრამ გამარჯვების სიხარულს უნდა გამოეთხოვოს. და უცებ... მჭუ-



ხარე ოვაცია... ბრუნი პიედესტალზე ახუავთ და პირველს მას აძლივინ პრიზსა და მედალს... კეთილშობილური საქციელისა და მამაცობისათვის.

უნიკალური მარხანა

მდინარე პოს ხეობაში ბოლავს მეტალურგიული ქარხანა — პატარა, მაგრამ უნიკალური საწარმო. იგი

ნედლეულით გეოლოგებმა კი არ უზრუნველუვეს, არამედ — არქეოლოგებმა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში ამ მიდამოებში ეტრუსკებს ისე ძლიერად მქონიათ განვითარებული რკინის გამოდნობა, რომ დარჩენილმა რკინის ნაყარმა მრავალი წლით უზრუნველყო თანამედროვე საწარმოს მუშაობა.

ხალხასი რომ მიიღონ...

უმეტეს ქვეყანაში ხელფასის მისაღებად საკმარისია საკუთარი გვარისა და სახელის თქმა და ვინაობის დამტკიცება. მაგრამ ფილიპინებზე ეს არა კმარა. აი როგორ ხდება სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის ხელფასის მიცემა კუნძულ მინდოროზე. მოხელეები, სანამ ხალაროს მიაკითხავენ, ჯერ უფროსთან უნდა გამოცხადდნენ და წარუდგინონ მას... არანაკლებ ზუთი ვირთავის კული. ვინც ზუთ ცალზე ნაკლებს მიიტანს უხელფასოდ დარჩება. ადგილობრივი ხელისუფალნი ამ საინტერესო სერბით იბრძვიან მინდოროზე მომრავლებული ვირთავების წინააღმდეგ.



# სსრკ კავშირი

## რეკლამა

ალბათ გიყვარს ლაშქრობებზე სიარული. აბა რომელი პიონერი დაჯდება შინ, როცა მისი რაზმი სალაშქროდ მიდის. მაგრამ ლაშქრობაც არის და ლაშქრობაც. ზოგიერთი,



მაგალითად, ადგება და სადმე შორს წავა, რომ მერე სატრაბახოდ ჰქონდეს ერთ დღეში ამდენი და ამდენი კილომეტრი გავიარეო. მაგრამ აბა რა სიკეთეა ასეთ გავლაში? გავლით კი გაიარე, მაგრამ რა ნახე, რა ახალი ცოდნა შეიძინე, რა საინტერესო მასალები შეაგროვე? ჩვენ კი, აი რას გირჩევთ თუ სალაშქროდ ემზადები, ამხანაგებთან ერთად წინასწარ მოიფიქრე სად წახვალთ და რისთვის. დაე ლაშქრობა შორი ნუ იქნება, მაგრამ მისი მარშრუტი უსათუოდ უნდა გადიოდეს თვალწარმტაც ადგილებზე. შესვენება მდინარის პირას ჯობს, იქ თევზაობაც შეგეძლებათ. დაათვალიერეთ გზად შეხვედრილი ყველა უძველესი ძეგლი, მოინახულეთ საბჭოთა მემორიების საფლავეები, რომლებმაც სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავი დადეს, შეამკეთ ისინი მინდვრის ყვავილებით. შეგიძლიათ შეაგროვოთ მეტად საინტერესო მასალები, თქვენს თანამემამულე გმირებზე, — ჩაწერეთ მათი მოგონებები.

ლაშქრობებში შეკრებილი მასალა გამოვადგებათ სასკოლო, სარაიონო ანდა სამხარეო მხარეთმცოდნეობის მუზეუმებისათვის. ლაშქრობისას შე-

გიძლიათ ეწვიოთ დიდ მშენებლობებს, საწარმოებს. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს. მოაწყობ შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან — წარმოების მოწინავეებთან.

**რა უნდა წაიღო, როცა ერთდღიან ლაშქრობაში მიდიხარ.**

მაისური, ტრუსები, ზემოდან ჩასაცმელად, თუ გრილი ამინდია, გრძელსახელოებიანი ხალათი და სპორტული შარვალი, წვიმის შემთხვევისათვის — მოსასხამი ან ლაბადა; პანამა, მსუბუქი კეპი ანდა ჩალის ქუდი; ბამბისა და შალის წინდები; ნახმარი, მაგრამ ჯერ კიდევ მაგარი ფეხსაცმელი.

**აღჭურვილობა** — ზურგჩანთა ფართო (6-7 სანტიმეტრი სიგანის) თამბეზიანი; საპონი; ალუმინის ჯამი; მომინანქრებული ტოლჩა; კოვზი, დანა (მოზრდილი ჯაყვა); ასანთი; კომპასი, ნემსი, თეთრი და შავი ძაფი.

**როცა ლაშქრობაში რამდენიმე დღით მიდიხარ**, ყველა ზემოჩამოთვლილ ნივთს გარდა, არ დაგავიწყდეს: რამდენიმე ცხვირსახოცი, თბილი სვიტერი, სათადარიგო ტრუსები და ფეხსაცმლის ზონურები, სამი წყვილი ბამბისა და ორი წყვილი შალის წინდა, რეზინისლან-

ჩიანი ჩუსტები, ზეწარი, თხელი საბანი. ტომარა ლეიბისათვის, ნაჭერი ფეხის შესამშრალბლად, სარეცხის საპონი, სანთელი, ინდივიდუალური პაკეტი, კბილღს ჯავრისი და პასტა, სათადარიგო დილები, ქინძისთავეები და საკერებელი ნაჭერი.

**რა აღჭურვილობა უნდა წაიღოს ჯგუფმა:** კარვები, ნაჯახი (ერთი — 5-6 კაცზე) და 50 სანტი. სიგრძის ტარიანი ბარები (ერთი — 10-15 კაცზე); თოკი ანდა მაგარი დაგრეხილი ბაწარი ათირდემეტრი; ვედროები, ქვაბები ანდა ქვაბურები საჭმლის მოსამზადებლად (იმ ანგარიშით რომ თვითეულზე 1,5-2 ლიტრი მოდიოდეს), კერძის დასასხმელი ჩამჩა, შალითები ჭურჭლისთვის, ჯიბის ფარანი, ბატარაები (4-5 ცალი) და ასანთი; ლაშქრობის რაიონის რუკა, ალბომი ანდა რვეული მოლაშქრის დღიურისათვის; ფოტოაპარატი, ფირებისა და კასეტების მარაგი, შავი ნაჭრისაგან შეკერილი პატარა ტომსიკა კასეტების დასატენად; ფეხსაცმლის საცხი და მისი შეკეთებისათვის საჭირო საგნები (მახათი, ნემსი, სადგისი, ლურსმანი, სიმქაში), საველე აფთიაქი. სამხარეთმცოდნეო მუშაობისათვის საჭირო იარაღები (ეს დამოკიდებულია ლაშქრობის მიზანზე); საყვირი ანდა სასტკენი — სიგნალისთვის.

**ველოგებმა უნდა იქონიონ:** საველე ჩანთა, გე-



ოლოგიური ჩაქუჩი; ორი სახის საჭრეთელი; ფაიფურის ფირი; სიმეავიანი შუშა, რომელიც აუცილებლად ხის ბუდეში უნდა იყოს მოთავსებული; ლუბა; ტომსიკები ნიმუშებისათვის; მინერალის სიმკვრივის განმსაზღვრელი ხელაწყობები.

**ბოტანიკოსებმა:** ჰერბარიუმის პაკა, მცენარეების გასახმობი წნები, აქანდაზი პატარა მცენარეების ძირების ამოსახრელად, პინცეტი კაუჭა მცენარეების ძირების ამოსადებად; ლუბა.

**ჰიდროლოგებმა:** წყალსაზომი ლარტყა; ტვირთიანი საზომი ზონარი — საძირავი, დისკო; დინების სიჩქარის გასაზომი ტივტივები, თვითნაკეთი ბატომეტრი — ტვირთით წყლის სინჯის ასადებად; გრძელი საზომი ზონარი მდინარის სივანის გასაზომად.

**ისტორიკოსებმა:** უბის წიგნაკი ანდა რვეული; აგ-



ტოკალამი; ფოტოაპარატი; ფერადი ფანქრები; ალბომი; თუ ამის შესაძლებლობა არის, ძალიან კარგი იქნება, თან წაიღო პატარა პორტატული მაგნიტოფონი.

**კვება:** მრავალდღიან ლაშქრობაში აუცილებელია დღეში სამჯერ — საუზმეზე სადილად და ვანშმად — მოამზადოთ ცხელი, გემრიელი და ნოყიერი საჭმელი. წასაღები პროდუქტები უფროსების

დახმარებით საგულდაგულოდ უნდა შეარჩიოთ.

ლაშქრობის დროს შესვენებებზე წყლის დაღევა არ შეიძლება. თუ ძალიან შეგაწუხოს წყურვილმა, სჯობს ადუღებულ წყალში ცოტა ლიმონი ჩააწურო და ისე გამოივლო პირში. მოძრაობისას რომ ნაკლებად მოგწყურდეს, გირჩევთ, ვიდრე გზას დაადგებოდე, ერთი ნაჭერი მარილმომყილი პური შეჭამო და ჩაი დააყოლო. გზაში არაავითარ შემთხვევაში



არ დალიო აუღუღარო წყალი!

დიდი შესვენების დროს, ნასაუზმევს, ნასადილევს ანდა ნავანშმევზე სჯობს დალიო ცხელი ჩაი, ოღონდ, ერთ-ორ ჭიქაზე მეტი არა.

**დასვენება.** კოცონის ადგილი. კოცონისთვის ადგილს ხეებისაგან მოშორებით ირჩევენ (არანაკლები 5 მეტრი), რომ ცეცხლმა ხის ფესვები და მწვანე არ დააზიანოს. ცეცხლის დანთება არც ტორფიან ადგილზე შეიძლება. თუ ტორფს ცეცხლი მოედება, შეიძლება ხანძარი კოცონის ჩაქრობიდან რამდენიმე დღის შემდეგაც გაჩნდეს.

ადგილს რომ შეარჩევთ, ცეცხლის დასანთები მოედანი (დაახლოებით ერთი კვადრატული მეტრი) ხმელი ფოთლებისაგან, როკებისა და ხავსისაგან გაწმინდეთ. მერე ნიჩბებით ამ მოედნიდან ბელტები აიღეთ და საკოცონე ადგილს გარშემო

შემოუწყეთ. არ დაგავიწყდეთ ბელტები ისე დააწყეთ რომ ბალახი ქვემოთ მოექცეს.

**როგორ გავაჩალოთ კოცონი.** სახმელებელი ადრევე უნდა მოამზადოთ. სახმელებლად შეგიძლიათ იხმართო წვრილი ფიჩხი, არყისხის ქერქი.

ფიჩხი ისე დააწყეთ, რომ „ქონის“ ანდა „ჭის“ ფორმა მისცეთ, მერე შიგ მოათავსეთ სახმელებელი და მოუკიდეთ. იქითა მხრიდან უნდა მოუკიდოთ. საიდანაც ქარი უბერავს. ცეცხლი რომ გაღვივდება, მერე თანდათან ჯერ წვრილი მერე მსხვილი როკები დაუმატეთ. როცა ესენი დანაკვერცხლდება შეგიძლიათ დაუმატოთ მსხვილი შუშა.

წვიმის შემთხვევისათვის სათადარიგო სახმელებელი ზურგჩანთაში მშრალად უნდა გქონდეთ შენახული. ასანთი რომ არ დავისველდეთ, სპეციალური გარეზინებული ქსოვილისაგან შეკერილ ტომსიკაში უნდა შეინახოთ. ნესტიან ამინდში ცეცხლი სანთლის დახმარებით შეგიძლიათ აანთოთ.

კოცონი დიდი არ უნდა გააჩალოთ. უნდა შეეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლებად იხმართო ნედლი შუშა, ფოთლები და ბალახი — ბოლი ნაკლები იქნება.

**როგორ გავაშროთ სველი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.** სველი ტანსაცმელი კოცონისაგან მოშორებით ბუჩქებზე ან სპეციალურ ლარტყებზე უნდა გაფინოთ.

ტყავის ფეხსაცმელი დღისით ჩრდილში, ღამით კი კოცონისაგან მოშორებით უნდა გააშროთ. ფეხსაცმელში, ან ჩექმებში ჩატენით მშრალი თივა და რამდენჯერმე გამოცვალეთ. ფეხსაცმლის გაშრობა სხვაგვარადაც შეიძლება: კენჭები ანდა რიყის ქვა კოცონზე




იმდენად გაახურეთ, რომ მათი ხელში დაჭერა კიდევ შეიძლებოდეს და ჩაყარეთ სველ ფეხსაცმელში. თან ხშირხშირად შეანჯღრიეთ ხოლმე.

**შესვენების ადგილზე ნაკვალევს ნუ დასტოვებთ!** ჩაუქრობი კოცონის მიტოვება დანაშაულია. კარგად დარწმუნდი, რომ კოცონი ჩამქრალია, რომ უკანასკნელ ნაპერწკალსაც მოხვდა წყალი! ყურადღებით დაათვალიერე მუგუზლები. კოცონის ირგვლივ მიწა მაგრად დაასველე, ბოლოს კოცონის ადგილს მიწა დააყარე და ბელტები დააწყე. შეეცადე, რომ შესვენების ადგილმა თავისი პირვანდელი სახე დაიბრუნოს.



და არც კი იცით, რომ ამ საქმეში ტუმბო ნამდვილად მისწრებაა.



ჩვეულებრივი მინის მქრქალ მინად გადაქცევა არც ისე ძნელია. აიღეთ მინის ორი ნაჭერი. შუაში ზუმფარის ფხვნილი ჩაყარეთ და მინები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვით. მინები ერთ წამში გათეთრდება.

ხერხის პირზე ასე ჩამოცმული რეზინის მილის ნაჭერი შემთხვევითი ტრავმებისაგანაც დაგიცავთ და ხელსაწყოს კბილებსაც კარგად შეინახავს.




ფოტომოყვარულებმა კარგად უწყიან, თუ რადიდი ღრო და დავიდარაბა სჭირდება ფირის გაშრობას. რეზინის ან პოლიქლორვილინის საიზოლაციო მილის ერთი თავი მაგრად


ჩამოაცვით მტვერსასრუტის ნახვრეტს, მეორე — ფირის სამქლავნების თავს. თბილი და სუფთა ჰაერის ნაკადი მტვერსასრუტის საცრიდან (იგი აბსოლუტურად სუფთა უნდა იყოს) მილის საშუალებით სამქლავნებელში ჩადის.

მტვერსასრუტის ძალისდაშესაბამისად ფირის გაშრობა 15-20 წუთზე მეტხანს არ გრძელდება. სანამ გაშრობას დაიწყებდეთ, სამქლავნების კარგად გამოწმენდა არ დაგავიწყდეთ, რათა შიგნით სუფთა ფენები არ დარჩეს.

თუ ლითონის ფირფიტა გაქვთ ვადასაჭრელი, მოაქციეთ იგი ორ ძელაკს შორის და ისე ვადახერხეთ.



თოქს ან ტროსს რეზინის მილს დიდი გაჭირვებით თუ ჩამოაცვამთ. იქნებ ტუმბო გაქვთ ხელთ



## ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

თ. ჭურღოვანიძე — უკვლავი ლენინი არის გამხსნელი ხალხის ბედისა (წერილი) . . . . .	2	თ. გიორგაძე — ლენინი და ჭადრაკი (წერილი) . . . . .	20
3. ჩაქაშრიშვილი — კარნახი (მოთხრობა) . . . . .	5	ი. ივიჩი — ატომური საუკუნის დასაწყისი (წერილი) . . . . .	21
ს. შამშრინი — კიდევაც დაიზრდებიან (ნარკვევი) . . . . .	7	ბ. ბახტაძე — მერაბს მოსწყინდა... (ფელეტონი) . . . . .	26
ი. შამანსური — ქლიავის ხე (თარგმნა რ. ბარკალაიამ) . . . . .	10	რ. ელანიძე — სხვის ბუდეში (წერილი) . . . . .	27
ი. ციციშვილი — ძველი საბერძნეთის არქიტექტურა (წერილი) . . . . .	11	ჯ. როლარი — ჯოვანიოს მოგზაურობა (მოთხრობა, თარგმნა შ. ამირანაშვილმა) . . . . .	28
2. ჭურღოვანი — აკაკი სტუმრად სოფელში (პოემა) . . . . .	16	ჭადოსნური სარკე . . . . .	29
3. ფონსტალი — სან მარტინოელი ეშმაკუნები (მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა თემურ ღლონტმა) . . . . .	17	გახდი ძლიერი და ამტანი (წერილი) . . . . .	30
		გამოგადგები . . . . .	32
		ცხრაკლიტური . . . . .	32

გარეკანის პირველ გვერდზე „პიონერული ზაფხული“ მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბაკიძე, ზოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანფერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგივ სამსონაძე, გიორგი ფონსტალი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 93-94-38 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-94-97 93-53-05 განყოფილებების — 93-94-29

საქ. კაპც-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии. Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. ვალეკა ასაწყობად 16/V-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VI-69 წ. ქალაქის ფორმატი 60X90<sup>1</sup>/<sub>8</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შვკვ. № 1532 ტირ. 108.700. უკ 00799.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



კ რ ო ს ვ ო რ დ ი

**ჰორიზონტალურად**  
 1. ა. მაქავარიანის ბალეტი. 3. ჰაერში მოცურავე წყლის უმცირესი წვეთები. 4. პირველი ბოლშევიკური გავითი. 6. სისხლნაკლულობა ანუ? 7. პირველი ქართული კომიკური ოპერის შემქმნელი. 9. რიცხვი. 10. ადამიანთა ურთიერთობის საშუალება. 13. კითხვითი ნაცვალსახელი. 15. ანბანის შემადგენელი ნაწილი. 17. მიწის ფართობის საზომი ერთეული. 18. წერილობითი საბუთი, სადაც ჩამოთვლილია რაიმე. 22. საყოფაცხოვრებო მოხმარების საგანი. 23. ბაშკირეთის დედაქალაქი. 24. ქართული ანბანის პირველი ასო. 25. საღებავი, რომელიც გამოიყენება კოსმეტიკაში. 26. გამოძახილი. 28. წყლით სავსე დიდი ჩაღრმავება დედამიწის ზედაპირზე. 29. ცხოველი, რომელსაც უდაბნოს ხომალდს უწოდებენ. 31. შხამიანა სოკო. 33. მდინარე გერმანიისა და პოლონეთის საზღვარზე. 34. მუსიკალური ნაწარმოების ერთ-ერთი

ფორმა. 35. მთა თრიალეთის ქედზე.

**ვერტიკალურად:** 1. ადმინისტრაციული დანაყოფი. 2. ძვირფასი ლითონი. 3. წყალზე მიმოსვლის საშუალება. 5. მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო მცენარე. 6. შეიარაღებული ძალები ანუ? 8. ალ. ყაზბეგის ნაწარმოები. 9. ძველი საბერძნეთის უდიდესი მეცნიერი. 11. კონტინენტი. 12. წყალში მცურავი უინულის მთა. 13. მსოფლიოს უდიდესი ჩანჩქერი. 14. ატომის ბირთვის ელემენტარული ნაწილაკი. 15. დიდი რუსი მოჭადრაკე. 16. ქალაქი ინგლისში. 17. მთა კავკასიონის უღელტეხილზე. 19. რადიომიმდებთან შეერთებული საჰაერო სადენი. 20. ზღვის ფრინველი. 21. ტექნიკური კულტურა. 27. ქალაქი ნორვეგიაში. 28. სამი შემსრულებლისაგან შემდგარი ჯგუფი. 30. ა. ბალანჩივაძის ოპერა. 32. ნაწარმოების მთავარი ავარი.


ნანა ცხანაძე,  
 გულრიფვის საშუალო სკოლის მოსწავლე.



მალემსრბოლი და ცხრა წირილი


9 წერილის დარიგება იყო საჭირო. მალემსრბოლმა დახედა ამ ნახატს და იმწამსვე მიხვდა რა გზით უნდა წასულიყო. ისე გა-

იარა მთელი გზა, ორჯერ ერთდამავე პუნქტში არ გაუვლია. იქნებ თქვენც მიხვდეთ, რა გზა აირჩია მან?




ფანქრის  
 აულებლად

დახატეთ ეს ფიგურა ისე, რომ ფანქარი ქალაქიდან არ აიღოთ და ერთი და იმავე ადგილას ხაზი ორჯერ არ ვაავლოთ.



კ რ ო ს ვ ო რ დ ი

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



**ჰორიზონტალურად:**  
 2. დანტი; 4. იტალია; 5. ბილბაო; 8. ეკლესია; 11. სტოუნ; 12. ფინიში; 13. ედმონდი; 19. ენისე; 20. ჭოროხი; 22. ტიარა; 23. კლასი; 25. ტანკი; 27. ლინეი; 29. ჰერკულესი; 30. „ვაშაში“; 36. დაირა; 37. ალტაი; 39. სტენდი; 40. მორიელი; 44. ბილბაო; 45. ეგრისი; 47. ყარათაუ; 48. ახტალა; 50. კულონი; 52. „ისკრა“.

**ვერტიკალურად:**  
 1. ინი; 3. ეტლი; 6. ატლანტი; 7. ლამანში; 9. კენედი; 10. „ილიადა“; 14. ოპორტუნისმი; 15. ქნარი; 16. სეული; 17. ლობიო; 18. სხვლა; 21. ჰიმალაი; 24. ისტორია; 25. მარსელი; 28. პერეირა; 31. მარაო; 33. ქურდი; 34. ფურიე; 35. ოდიში; 38. ვიეტი; 41. ტოროლა; 42. „ელეგია“; 43. კალმახი; 46. ესენინი; 49. ლიხი; 51. ურთა; 53. ოკა.

დ ო მ ი ნ ო

ერთმანეთს ადგილს უცვლიან: 2:2 და 3:3, ა რთვე 5:0 და 1:5 კოჭები.


# ქვეყნის ლოკალი

ქართული  
ბიბლიოთეკა

შაბათი პლანე ეგოქაქა



ზოგიერთი  
მოსწავლის  
ჩანთა-ბურთი.



— ასე ხომ დასინანდება წიგნი?  
— არა უშავს, ბიბლიოთეკისაა.



მეხმარილი.



დანიელ დავოს წიგნს  
აიტესულა?  
— დანიელ დავოსი აი ავა



— მეგობრებო, როგორც ხე-  
ღავთ, ამ ტაქარს საუკუნეების  
მანძილზე გვერი გარბაროსნი  
დასხმია თავს.